
..ህ৮ንፌሀ ወንሠタን.. Cemt **37**436033020



№134 (6135) ფასი: 30 თეთრი — 9 ივნისი, 2013



J3CJGJONAN GJCJJJCC **ᲡᲐᲛᲮᲔᲦᲠᲝᲔᲑᲡ 9 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲩᲐᲛᲝᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ** 



อกพลอก **33333: 233.2 33.2** "ህሐጸበሮ **ᲙᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ժուները **ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐ**"



ፀሀፀሠ ያጋሢ፠ንደንዓጋ **7367009U Հ**ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ՆᲐᲛᲮᲔᲦᲠᲝ **ᲙᲝᲜ**ᲒᲘᲜᲒᲔᲜᲒᲘᲡ **339RUY397P UQPW3P** 

**Მ**ᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲛᲧᲝᲤᲘ





ავღანეთში მყოფი ჯარისკაცის დედა, რომელსაც რამდენიმე დღის წინ სააკაშვილი კამერების თანდასწრებით ეკითხებოდა, თუ რამდენი ავღანელი მოკლა მან, — პრეზიდენტს პროვოკაციის მოწყობისთვის სასამართლოში უჩივლებს.

ამის შესახებ ინფორმაციას პოლიტიკური პარტია "თეთრების" პრესსამსახური, პარტიის მიერ მიღებული წერილის საფუძველზე ავრცელებს.

"დღეს, ყველა ქართველისთვის საშინელი დღეა. მე იმ ჯარისკაცის დედა ვარ, ვისაც სააკაშვილი ეკითხება, თუ რამდენი ადამიანი მოკლა. მინდა სააკაშვილს ვუჩივლო პროვოკაციის მოწყობისათვის, რასაც ბიჭების დაღუპვა მოჰყვა. სარჩელს არა მარტო საქართველოს, არამედ საერთაშორისო სასამართლოშიც შევიტან და ყველას ვაცნობებ, თუ როგორი სარდალი და პრეზიდენტი მართავდა საქართველოს", – ნათქვამია წერილში, რომელიც ავღანეთში მყოფი ჯარისკაცის დედამ პარტიის ხელმძღვანელობას გაუგზავნა.

ნიუსპრესი



6 N36NLN&76i "ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ"


ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲜᲝᲛᲔᲜᲘ

გომი 2

უქმᲦეგᲐ?



**ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲬ**ᲓᲠᲔ ᲒᲐᲢᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ





# ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲣᲒᲐᲕᲐ: "ᲐᲠᲩᲘᲚ ᲙᲑᲘᲚᲐᲨᲕ**Ი**ᲚᲘ

**Ⅎ**ᲝᲠᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲓᲐᲔᲛᲡᲒᲐᲕᲡᲐ"**ℤ** 

ლეიბორისტი გიორგი გუგავა ივანიშვილს რუსეთთან მიმართებით კაპიტულანტური პოლიტიკის გატარებაში ადანაშაულებს. შალგა ნათელაშვილის თანაგუნდელი ფიქრობს, რომ ქვეყანაში სისტემური ცვლილება არ მომხდარა და სამართლიანობის აღდგენა მხოლოდ იმათთვის ხორციელდება, ვინც ნაციონალებმა დაჩაგრეს და დღეს ხელისუფლებაში არიან მოკალათებული.



შორენა კოწოწაშვილი

იგიძნობა თუ აია ქვეყანაში სოციაღუხი მჹგომაႹეობის გაუმჯობესება es hs shsსნოhn გაჹაწყვეტიტება მიიღო ივანიშვიღის მთავხობამ საბიუჯეტო სახსხებთან მიმახთებით, ამ საკითხების იხგვღივ გთავაზობთ ინტეხვიუს ღეიბოჩისტული პაჩტიის პოტიტიკუხ მდივან გიოჩგი გუგავასთან.

- ბატონო გიორგი, როგორ შეაფასებდით დღეისათვის არსებულ პოლიტიკურ ვითარებას? რამდენად იკვეთება, რომ ივანიშვილისა და სააკაშვილის გუნდებს შორის არსებულ დაპირისპირებას ქვეყნის ინტერესები ეწირება? ავღანეთში მომხდარი ტრაგიკული ფაქტი ექსპერტთა ნაწილმა სააკაშვილის პირად შურისძიებად შე-

– ავღანეთში ქართველი სამხედროების დაღუპვის ფაქტთან დაკავშირებით მინდა მწუხარება გამოვთქვა და დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარი ვუთხრა. რაც შეეხება ამ საკითხს, გახსოვთ, წინასაარჩევნოდ ჩვენ სარეფერენდუმოსაკითხი შევიტანეთცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, სადაც დაყენებული იყო მოთხოვნა, რომ არჩევნებთან ერთად ჩატარებულიყო რეფე-რენდუმი ავღანეთიდან საჯარისო ნაწილების გამოყვანის შესახებ. სამწუხაროდ, როგორც ნაცმოძრაობის კო მისიის წევრებმა, ასევე "ქართული ოცნების" წევრებმა ერთობლივად უარი განგვიცხადეს. მაშინვე ცხადი იყო, რომ ეს ტრაგედია მთელი ჩვენი ქვეყნისთვის ტრაგედიად იქცეოდა. საქართველოს არ ჰყავს შვილი დასაკარგავი სხვის ომში. სამწუხაროდ, ამ მისიაში მონაწილეობა არც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებასთანაა დაკავშირებული, არც პოლიტიკურ თუ სამხედრო დივიდენდებთან, უბრალოდ, ჩვენი შვილები და ძმები ეწირებიან ამ ომს, მაშინ როდესაც ჩვენ თვითონ გვაქვს დასაცავი ჩვენი სამშობლო, რომელიც ოკუპირებულია. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის თითოეულ ჯარისკაცს უნდა გავუფრთხილდეთ. რაც შეეხება ზოგადად პოლიტიკურ ვითარებას, როგორც ვვარაუდობდით და ეს მოსალოდნელიც იყო, არსებითად 1 ოქტომბრის შემდეგ არ შეცვლილა არც პოლიტიკური სისტემა, არც სამართლებრივი მიდგომები; რაც მთავარია, არ შეცვლილა ის დუხჭირი სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება, რო-

მელშიც ვიმყოფებოდით ამ ხნის მანძილზე და 1 ოქტომბრის არჩევნებში, როდესაც არჩევანს აკეთებდნენ ივანიშვილის სასარგებლოდ, იმედები ჩაიდო იმისა, რომ მილიარდერი ლიდერი თავის წინასაარჩევნო დაპირებებს შეასრულებდა. გახსოვთ, მაშინ დაპირებები ფოჩიანი კანფეტებივით უხვად ჩამორიგდა. ვფიქრობდით, რომ ამ დაპირებების 30% მაინც შესრულდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც ხედავთ, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა დღითიდღე უარესდება. სიდუხჭირე იზრდება და უფრო ფართო მასებს მოიცავს. მოგეხსენებათ, 600 000 ოჯახი იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. უმუშევრობა იზრდება კატასტროფული წესით. აშკარად ეკონომიკური სტაგნაციაა. არანაირი სოციალური პროექტი არ ხორციელდება. ჯანდაცვის პროექტი ჩავარდა. ისეთი მიდგომებია, როგო რიც იყო სააკაშვილის დროს. ჩავარდა სოფლის მეურნეობის პროექტი, ძალიან რომ ყელყელაობდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ 1 მლრდ-ის ჩადებას აპირებდნენ და ამ სფეროს აყვავებას გეგმავდნენ. თქვენ შეგიძლიათ, საკუთარი თვალით ნახოთ, ზუსტად იმავე რაოდენობის მიწის ნაკვეთებია დამუშავებული, რაც სააკაშვილის დროს იყო. ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.

– სამართლიანობის აღდგენის პროცესიც არაფერს ცვლის?

– რაც შეეხება ე.წ. სამართლიანობის აღდგენის პროცესს, სამართლიანობა არის აბსოლუტური კატეგორია და თუ ამ პრინციპს აიღებ, მაშინ ძირისძირობით გამოკვლეული უნდა იყოს, ვინ იყო დამკვეთი, ვინ – დამფინანსებელი და ფინანსური გარანტი ამ რეპრესიული მანქანის ჩამოყალიბებისა. სამართლიანობის აღდგენა ნიშნავს იმ რიგითი ადამიანების უფლებების აღდგენას, რომლებიც შეეწირნენ სააკაშვილის რეჟიმის ბობოქრობას ამ ქვეყანაში. ამდენი ხნის მანძილზე თუნდაც ერთი პიროვნების აღდგენილი უფლება არ გვინახავს. არ გვინახავს თუნდაც ერთი მასწავლებელი, რომელიც პოლიტიკური მოტივებით გაათავისუფლეს და მერე სამსახურში აღადგინეს. არც საჯარო სამსახურში აღუდგენიათ რომელიმე უკანონოდ გათავისუფლებული მოხელე. არც უკა ნონოდ ჩამორთმეული ქონება დაბრუნებია ვინმეს. სამაგიეროდ, პირველი გადაწყვეტილებები, რომლებიც ივანიშვილის ხელისუფლებამ მიიღო, შეეხება თავად პრემიერს, რომელმაც ის წართმეული ფული დაიბრუნა და ციხეში იმათ უკრა თავი, ვისაც მისთვის ან მისი ოჯახის წევრებისთვის უწყენინებია ანუ ისევ შერჩევით სამართალთან გვაქვს საქმე, როგორც იყო სააკაშვილის მმართველობის პირობებში. რაც შეეხება პოლიტიკური მმართველობის სისტემას – გასაოცარ დემოკრატიას, რომელსაც გვპირდებოდა ,,ქართული ოცნება", მინდა შეგახსენოთ უკანასკნელი კანონპროექტი, რომლის მიღებასაც აპირებს პარლამენტი. ეს ეხება პარტიების დაფინანსებას ბიუჯეტიდან. ,,ოცნებაც"და ნაცმოძრაობაც დაფინანსების გაორმაგებას აპირებენ, ხოლო დანარჩენი ოპო-ზიცია, ნამდვილი ოპოზიცია, როგორიც არის ლეიბორისტული პარტია, მას უკლავენ საარსებო გარემოს. ფული თეთრია დღეს პარტიის დაფინანსებისთვის ბიუჯეტიდან. გახსოვთ პირველი გადაწყვეტილება – ბატონმა პრემიერმა თითო მილიონი გამოყო ნაცმოძრაობისა და "ოცნებისათვის". ახლა ლამის გაორმაგებას აპირებენ. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ცდილობს, ქვეყანაში მოკლას მრავალპარტიული დემოკრატიის ნიშნები, რაც არსებობდა; გაანადგუროს მოწინააღმდეგეები. პრემიერი ამ შემთხვევაში იქცევა არა როგორც სახელმწიფო მშართველი, არამედ, როგორც მაფიოზური კლანის ბოსი. ივანიშვილს უნდა, ჩამოაყალიბოს ოლიგარქიული დიქტატურა, სადაც ხელშეწყობილი, დაფინანსებული იქნებიან მხოლოდ ის ძალები, რომლებიც მონურ მორჩილებაში იქნებიან მის ორბიტაზე.

– ახლოვდება საპრეზიდენტო არჩევნები. საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისკენ ნაბიჯები თუ იდგმება?

– გახსოვთ, როგორ ამბობდნენ, რომ დისკრიმინაციული უმრავლესობა გააჩნდა ნაცმოძრაობას. ახლა საარჩევნო კომისიებში "ოცნებას" გააჩნია უმრავლესობა. ადმინისტრაციული რესურსიც მათ ხელთაა. დაფინანსებას იზრდიან ბიუჯეტის ხარჯზე და ოპოზიციას არსებობის საშუალებას უსპობენ. ჩვენ წაგვართვეს კვალიფიკაცია და ჩამოგვართვეს კომისიის ერთი წევრი, რომელსაც კომისიებში ვნიშნავდით. წაგვართვეს სატელევიხიო ეთერი. პრაქტიკულად, არანაირი სახეცვლილება იმ დრაკონული საარჩევნო კანონმდებლობისა არ მომხდარა. ეს იმისთვის კეთდება, რომ გაჭირვების ჟამს გააყალბონ არჩევნები და ძალაუფლება განიმტკიცონ. ამათაც უნდათ, იმავე ფორმებით გააგრძელონ მართვა, როგორც აქამდე მი-

– რაზე მიანიშნებთ, რომ ქვეყანა არა დემოკრატიული კურსით, არამედ პირადი ინტერესებითა და ანგა-

რიშსწორებით იმართება? – რა თქმა უნდა, პირადი ინტერესებია გამოკვეთილი. პოლიტიკურსამართლებრივ სფეროებში არავითარი ცვლილება არ განხორციელებულა და იმავე მეთოდებით, იმავე სისტემით მიმდინარეობს ქვეყნის მართვა, რაც გასული 9 წლის მახძილზე იყო. კოალიციის წევრებიდან ბევრი სააკაშვილის თანამოაზრე იყო, ივანიშვილი კი თავად აფინანსებდა წინა რეჟიმს. აქედან გამომდინარე, საერთო ინტერესებს ისინი, ბუნებრივია, ვერ შეელევიან. ნაცმოძრაობისა და "ოცნების" დაპირისპირება უფრო შიდაკლანური დაპირისპირებაა, ერთმანეთზე შურისძიებაა, ვიდრე სამართლიანობის

აღდგენა და სისტემის გაჯანსაღება. ჩვენ ფიგურანტების ცვლილება კი არ გეჭირდებოდა სისტემაში, არამედ მთლიანად სისტემის. რიგითი ადამიანი ისევ ისე დაჩაგრულია, როგორიც იყო. მას ისევე წართმეული აქვს ჯანდაცვისა და მუშაობის უფლება, როგორც წინა ხელისუფლების დროს. როგორც გითხარით, ესენი სამართლიანობის აღდგენას საოჯახო სამართალს ეძახიან. თუ ვინმეს რაიმე დაუშავებია ივანიშვილისა და მისი გარემოცვისთვის, სამართლებრივი დევნა სწორედ იმ მიმართულებით მიდის და არა ზო-

\_ მთავარი პროკურორი, არჩილ კბილაშვილი, მიიჩნევს, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ნორმალურ ტემპში მიდის და მეტი აქტიურობა შურისძიებად ჩაითვლებოდა.

– საერთოდ, ეგ პერსონა უფრო ჭორბიუროს დაემსგავსა, ვიდრე სახელმწიფო სამართლებრივი სისტემის ერთ-ერთ ხელმძღვანელს. ხშირ შემთხვევაში, კბილაშვილი ისეთ არაკომპეტენტურ განცხადებებს აკეთებს, რომელიც არათუ მთავარ პროკურორს, არამედ რიგით გამომძიებელსაც არ შეეფერება. მაინტერესებს, რა-ტომ არ ჩქარდება რიგითი ადამიანების უფლებების აღდგენა. ხომ შეიძლებოდა, ერთი ადამიანის უფლება დაეცვათ და თუნდაც უკანონოდ წართმეული მიწის ნაკვეთი დაებრუნებინათ. საჩვენებლად მაინც გაეკეთებინათ, რომ ერთი ადამიანისთვის მაინც დაებრუნებინათ წართმეული მცირე ბიზნესი, ეჩვენებინათ, რომ სახელმწიფომ ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო. როგორ ფიქრობთ, ხალხი როგორ იღებს იმას, რომ ამ გაჭირვებულ ქვეყანაში ისევ გაიორმაგეს ხელფასები ივანიშვილის მთავრობის წევრებმა და რამხელა პრემიები მიიღეს. ამ გამათხოვრებულ ქვეყანაში თბილისიდან ქუთაისში სასიარულოდ ბიუჯეტის ხარჯზე თვითმფრინავიც კი დაინიშნეს. ვხედავთ, როგორ იყიდეს ხალხის ხარჯზე ვაგონისხელა ჯიპები და როგორ გადაადგილდებიან ესკორტებით. აბა, რაღას ვედავებოდით მიხეილ სააკაშვილს, იგივე არ ხდება დღეს? რა არსებითი მნიშვნელობა აქვს, "ოცნების" წარმომადგენელი იცხოვრებს ხალხის ხარჯზე ფუფუნებაში თუ ნაცმოძრაობის? ვურჩევდი ივანიშვილს, ჯანდაცვისა და სოციალური პრობლემები მოაგვაროს. უკიდურესად მტკივნეულია დასაქმების პრობლემა. არსებობის უფლება თითოეულ მოქალაქეს გააჩნია და მათ ეს უფლება წართმეული აქვთ. 77 ათასი ბავშვია, რომელიც შიმშილობს. ხომ შეიძლებოდა, პირველი გადაწყვეტილება მინისტრების ხელფასების გაორმაგება კი არა, ამ ბავშვებისთვის შემწეობის დანიშვნა ყოფილიყო

– დაბოლოს, ბატონო გიორგი, რას იტყვით რუსეთთან მიმართებით წარმოებულ ახალ პოლიტიკაზე? ფაქტია, ლოიალურმა განცხადებებმა საოკუპაციო ზოლის გადმონევა ვერ შე-

– ამას ქართული პოზიცია არ ჰქვია, ამას ჰქვია სრული კაპიტულაცია. თუ სააკაშვილი თავისი განცხადებებით იყო მაპროვოცირებელი და გამაღიზიანებელი რუსეთთან მიმართებით, რამაც ბევრი პრობლემა გაუჩინა ქვეყანას, ახლა ვიღებთ სრულ კაპიტულაციას. ვხედავთ, რომ ხელისუფლებამ უაპელაციოდ გადაწყვიტა სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობა. ანსამბლებს ანსამბლებზე აგზავნიან კრემლის დარბაზებში საცეკვაოდ, იცვლება ოკუპაციის კანონი. ვხედავთ, რა დამცინავი დამოკიდებულება აქვს ონიშჩენკოს ჩვენ მიმართ და როგორ იწევენ რუსები ქართულ მიწაზე. ამ დროს არანაირი რეაგირება არ ხდება აქეთა მხრიდან. პრაქტიკულად, ომის დაწყება ივანიშვილმა საქართველოს დააბრალა. სააკაშვილს უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და ამაზე პასუხი უნდა აგოს, მაგრამ, არ შეიძლება, საკუთარ ქვეყანას ომის დაწყება დააბრალო. 2008 წელს სააკაშვილი, როგორც ქვეყნის მთავარსარდალი, ისე მოქმედებდა. არ შეიძლება თქვა, რომ საქართველოში ტერორისტული ჯგუფები მზადდებოდა. ეს რუსული თამაშია. ამ ყველაფრის მიუხედავად, საზღვარი გადმოგვიწიეს. მაინც ვდუმვართ, ისევ კაპიტულანტურ პოლიტიკას ვატარებთ. უფრო მეტიც, კონფლიქტების მოგვარების საკითხი ჩაბარებული აქვს პირს, ვგულისხმობ პაატა ზაქარეიშვილს, რომელიც წლების მანძილზე ღაღადებდა, რომ საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. ეს ტრაგედია არ არის? გასაგებია, რომ იმას ოფო ფები უფრიხავდა და ოკუპახტს აღიზიანებდა, შენ კი მთლიანად დაუწექი, კაპიტულაცია გამოუცხადე. პრემიერისა და ზაქარეიშვილის განცხადებებს მოუსმინეთ? რა უბედურებასთან გვაქვს საქმე – თურმე, რუსეთს ოკუპაციაში ხელი არ უნდა შევუშალოთ. თურმე, 300 მეტრით გადმოწევა არაფერია და ამას ყურადღება არ უნდა



abaen mamba

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან დამფუმნებლები: ნინო ბაკურამე, ზურაბ ბერიმე, სოსო გოგინაშვილი მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები ოთარ წინიაშვილი, დავით ყიფიანი საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 2-94-02-55 გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი **დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თპილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული. ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91

ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



ნონა ცაბაძე

#### 979.377 7Y0.9U9.0Y0.0 77377PUUP P77UQP.9 UE90Y3U.0 04P.90YE

– ბატონო მამუკა, დიდი ტრაგედია დატრიალდა 6 ივნისს, ავღანეთში კიდევ შვიდი ქართველი სამხედრო დაიღუპა. როგორია თქვენი პოზიცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

საშინელი ტრაგედიაა, პატარა ერისთვის, რომელსაც ისედაც შეზღუდული აქვს რესურსი, გინდაც სამხედრო და გინდაც ადამიანური რესურსი, ამდენი დაღუპული ძალიან დიდია. პროცენტულად, მე მგონი, ამდენი დაღუპული არც ერთ ამ ოპერაციაში მონაწილე ქვეყანას არა ჰყავს, ამერიკელებს თუ არ ჩავთვლით, ბუნებრივია. გარდა ამისა, ბოლო თვის განმავლობაში ყველაზე დიდი რაოდენობა, ათი ადამიანი მარტო ამ ბოლო თვის განმავლობაში დავკარგეთ. მე ვფიქრობ, რომ პირველი ტერაქტის მერე ცოტა უფრო მეტად უნდა ეზრუნა იქაურ ხელმძღვანელობას უსაფრთხოების სისტემის გასაძლიერებლად. შეიძლება, მე ვცდები, ამ საქმეში სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, იქნებ ჯობდა, რომ მიმდინარე ტერიტორია დანაღმული ყოფილიყო, თუ ამის საშუალება იყო. არ ვიცი, ასეა თუ ისე, შვიდი ადამიანი რომ დაგეღუპება, შეიძლება ფანტასტიკური იდეები მოგდის კაცს თავში.

— აზრი ორად გაიყო. ნაწილი მიიჩნევს, რომ სასწრაფოდ უნდა დატოვონ ქართულმა შენაერთებმა ავღანეთის ტერიტორია, ნაწილს მიაჩნია, რომ ეს ქვეყნისთვის საზიანო იქნება. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხთან დაკავშირე-

— რაც შეეხება გამოყვანა-არგამოყვანის საკითხს, მოდით, ჯერ შეყვანაზე ვილაპარაკოთ. მორალური თვალსაზრისით, მე ყოველთვის წინააღმდეგი ვიყავი ქართველი მეომრების სხვა ტერიტორიაზე და სხვის ომებში მონაწილეობაზე. თუმცა აქ არის პოლიტიკური მიზანშეწონილობის საკითხი, რომელიც ითვალისწინებს იმას, რომ საქართველოს უნდა მიეღო ამ ოპერაციაში მონაწილეობა და თვალთმაქცობას არ დავიწყებ, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო და ასე შემდეგ. თუ ჩვენ გვინდა ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია, მაშინ ეს უნდა მომხდარიყო. სხვა საკითხია, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო ასეთი დიდი რაოდენობით და არ უნდა მომხდარიყო ასე მასობრივად. ალბათ, უფრო მეტად პროფესიონალი და უფრო გამოცდილი ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ წასული იქ, მე ასე მიმაჩნია. თუმცა, ვინ იცის... რაც შეეხება გამოყვანის საკითხს, რომ ვილაპარაკოთ ახლა პოპულისტურად, რომ, არიქა, დღესვე უნდა გამოვიყვანოთ ყველა, არ გამოვა ეს ამბავი.

– რატომ არ გამოვა?

— იმიტომ არ გამოვა, რომ, რამდენადაც მე ვიცი, დღეს ჩამნაცვლებელიც კი არავინ არის და უბრალოდ ფრონტი მოშიშვლდება. ეს არის სამწუხარო რეალობა. ხუთ თვეში კონტინგენტი ისედაც იცვლის დისლოკაციას და ისედაც გამოდის იქიდან.

— ხუთი თვე არ არის ცოტა დრო, ბატონო მამუკა, როცა ამხელა დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა ქართული დანაყოფი. თქვენ თუ ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სააკაშვილმა მოახდინა ამ ყველაფრის პროვოცირება და რომ ის არის დამნაშავე ქართველი ჯარისკაცების დაღუპვაში?

– მე არ მინდა დავიჯერო, რომ ამის გამო მოხდა ყველაფერი, მაგრამ ლოგიკური ჯაჭვი, რასაკვირველია, ამ მოვლენებს შორის არსებობს. ლოგიკური ჯაჭვი არსებობს პრეზიდენტის ფსევდოაქტივობას შორის, შემდეგში ამ ვიდეორგოლის გავრცელებასა და თვითონ ამ ფაქტს შორის. მე ვარ ტელევიზიის პროფესიონალი სპეციალისტი და ჩემთვის ძალიან კარგად არის ცნობილი, როგორ ხდება ანალოგიური სიუჟეტების მომზადება ქვეყნის პირველ პირზე და როგორ ცენზურას გადის ის თვითონ შიდა პიარჯგუფის წიალში. ე.ი. რომ არ სდომებოდა პრეზიდენტსა და მის გარემოცვას, ვინც მის პიარზე მუშაობს, ის ფრაზა არ იქნებოდა ეთერში – რამდენი კაცი მოკალივგულისხმობ. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ეს შეგნებულად იყო ნათქვამი და დატოვებული, რაღაცა მიზნისთვის იყო გაკეთებული, რა მიზანი შეიძლება იყოს ამ შემთხვევაში, თუ არა მოწინააღმდეგის პროვოცირება? და, საბოლოო ჯამში, ასეც გამოვიდა. ახლა იმის მტკიცება, რომ საქართველოში გაშვებული სიუჟეტის შინაარსს ავღანეთში ვერ გაიგებდნენ, ეს არის სისულელე. ჯერ ერთი, საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაა ისლამისტური მიმართულების, რომელსაც თავისუფლად შეეძლო ამის ტირაჟირება, თარგმნა და გაგზავნა. ეს არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს, მით უმეტეს, ასეთი გლობალური ინფორმატიკის ეპოქაში. უნდოდა თუ არ უნდოდა პრეზიდენტს, საბოლოო ჯამში, მისმა ამ გამოსვლამ პროვოცირება მოახდინა. ეს რაც შეეხება სატელევიზიო ნაწილს. ახლა რაც შეეხება თვითონ ვიდეორგოლს, ვიდეორგოლი არ არის ჩვეულებრივად მომზადებული. ვიდეორგოლი არის მომზადებული პროფესიულად, თავისი დრამატურგიით, საუკეთესო მონტაჟით და ასე შემდეგ. ეს არ არის ჩვეულებრივად გაკეთებული რგოლი, იმიტომ რომ მე ასე-

# 303737 7403979; 30403979 30403979 30403979 3040399

### საქართველოში ისლამისტები ძლიერდებიან

50 30¢

200307

თი ტიპის რგოლი, ოღონდ ესპანელე-ბის წინააღმდეგ მიმართული, თალიბე-ბის მიერ მომზადებული ვნახე. ის იყო ჩვეულებრივად, საკმაოდ პრიმიტიულ დონეზე, შიშველი ამბით გაკეთებული ვიდეორგოლი, რომელშიც პირდაპირი მუქარა იყო ესპანელების მიმართ და მეტისხვა არაფერი, იქ არ იყო სატელეიზიო ტექნოლოგიის მაღალი დონის დემონსტრირება. სხვათა შორის, უნდა გითხრათ, რომ მაშინ ამ გაფრთხილე-ბას მოჰყვა ტერაქტი მადრიდის მეტ-როში და ესპანეთის ჯარების გამოყვა-ნა ავღანეთიდან.

– საქართველო რამდენად არის საფრთხის წინაშე?

– საფრთხის წინაშე ნამდვილად ვართ. ჯერ ერთი, ისეთ რეგიონში ვცხოვრობთ, რომელიც თავისთავად საფრთხის შემცველია და აქ არის მუდმივი ომები სხვადასხვა ფორმით, დაძაბულობა და ასე შემდეგ. ეს არ არის მშვიდობიანი რეგიონი, მიუხედავად იმისა, რომ ამისკენ ლტოლვა და სურვილი ყველა ქვეყანას აქვს. მეორეც ის, რომ საქართველოში თვალსა და ხელს შუა ისე გაძლიერდნენ ისლამისტური ორგანიზაციები, რომ დღეს თუ ხვალ შეიძლება სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდეთ. ის მუქარა, რომელიც ამ ვიდეორგოლში ისმოდა, შეიძლება რეალიზაციის პროცესში შევიდეს. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ ლაფანყურის მოვლენების გამო სხვა ტიპის მუქარებიც ისმის საქართველოს წინააღმდეგ. პრინციპში, დღევანდელი

ჩვენი რეალობით აღმოვჩნდით უზარმაზარი საფრთხის წინაშე, რომელიც ორი სხვადასხვა ისლამისტური წყაროდან მოდის.

– გამოდის, რომ ეს ყველაფერი მიზანმიმართულად გააკეთა ყოფილმა ხელისუფლებამ?

– ასე გამოდის. ამაშია უბედურება საქართველოსი, რომ თუ სხვა ქვეყნებში, ცივილიზებულ სამყაროს ვგულისხმობ, რასაკვირველია, ოპოზიცია ორიენტირებულია, ვთქვათ, ხელისუფლების კრიტიკაზე, ხელისუფლების მარცხის გამოყენებაზე, ხელისუფლების დისკრედიტაციაზე, ეს ყველაფერი არ სცდება პატრიოტულ ჩარჩოებს და ქვეყანაში უბედურების შემომტანი არ არის. საქართველოში, სამწუხაროდ, პირიქით არის, იმიტომ რომ წინა ხელისუფლება ორიენტირებულია არა დღევანდელი ხელისუფლების, არამედ ქვეყნის დისკრედიტაციაზე. ეს სხვადასხვა რამეა და თავისი მიზნის მისაღწევად არც გვამებს ერიდება, არც სისხლს და არც არაფერს. ამის ნათელი მაგალითი, თუ დამტკიცდა ის, რაზეც ჩვენ ვლაპარაკობთ, იქნება ეს მოვლენა, რაც მოხდა გუშინ. სხვა მაგალითები რომ არ გვქონდეს, მაშინ არ ვილაპარაკებდი. ლაფანყურის მოვლენა, მაგალითად, ამ კატეგორიიდან არის. სხვა რა გითხრათ, როცა ქვეყანაში არის ძალა, რომელიც ორიენტირებულია ქვეყნის დისკრედიტაციაზე, იქ ლაპარაკი იმაზე, რომ ქვეყნის განვითარება ნორმალურად შეიძლება და ქვეყნის უსაფრთხოება დაცულია, ნონსენსია.

 ბატონო მამუკა, ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ოქტომბრამდე რაც შეიძლება მეტი პრობლემა დაუტოვოს ქვეყანას?

— რასაკვირველია. მე უკვე ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ მარტო პრობლემების დატოვებაში არ არის საქმე, პრობლემების პერმანენტულ შექმნაშია საფრთხე, რომელიც ოქტომბრის მერეც შეიძლება გაგრძელდეს. მაგალითად,
ლაფანყურის მოვლენა იქნება თუ ავღანეთის რეალობა, პრობლემა რჩება. პირველი რჩება იმ
შემთხვევაში, თუ არ იქნა მიღებული ძალიან რადიკალური გადაწყვეტილება დღევანდელი ხელისუფლების მიერ ლაფანყურის მოვლენების მონაწილეთა სერიოზული დასჯის კონტექსტში, ძალიან სერიოზული დასჯის კონტექსტში, თან, ყველა უნდა დაისაჯოს.

– რომ საფრთხე შენელდეს?

— რასაკვირველია, იმიტომ რომ დაკმაყოფილებული უნდა იყოს მოთხოვნა. ჩვენ ლაფანყურის შემთხვევაში მოთხოვნას გვიყენებს ორი ძალა. ერთი არის კავკასიის ემირატი, რომელმაც პირდაპირ გამოაცხადა თავის შეურიგებლობა მოვლენებთან და მეორეა დევნილობაში მყოფი



იჩქერიის ხელისუფლება, რომელმაც საქმე აღძრა ლაფანყურის მოვლენების მიხედვით. ოლონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საქმე აღძრა და მორჩა, რადგან მათ არ შეუძლიათ, პროცედურული ქმედებები განახორციელონ. ამიტომ მოპოვებულ მასალებს, როგორც თვითონ ამბობენ, პირველ რიგში, გადასცემენ ევროკომისიას და შემდეგ შეიტანენ საერთა შორისო სასამართლოში. ეს ნიშნავს საქართველოს სახელის კიდევ ერთხელ ლაფში ამოსვრას. ეს ორი ძალა უპირისპირდება ჩვენს ქვეყანას, ერთი — ცივილიზებული, მეორე — არაცივილიზებული ფორმით.

– თალიბების მუქარას რაც შეეხება, ამ შემთხვევაში რა უნდა გაკეთდეს? ამბობენ, რომ ტერაქტიც არ არის გამორიცხული მათი მხრიდან.

— რასაკვირველია, შესაძლებელია, იმიტომ რომ საქართველოს პრეზიდენტმა თავისი ქმედებით გამოწვევა გაუგზავნა თალიბებს. იმის მაგივრად, რომ, კარგი გაგებით, საქართველოს კონტინგენტი ათქვეფილი ყოფილიცო ნატოს ჯარების საერთო მასაში, რომელიც ავღანეთში იმყოფება, ჩვენ რატომლაც მოვინდომეთ რომის პაპზე მეტი კათოლიკეობა და ცალკე მოვინდომეთ ავღანეთის ომში გამარჯვება. ეს, სხვათა შორის, დამახასიათებელია საქართველოსთვის. პირველი შემთხვევა არ არის საქართველოს ისტორიაში, მაგრამ სხვების შეცდომები ხომ უნდა გაითვალისწინო. როგორც ყოველთვის, არ გაითვალისწინა ჩვენმა პრეზიდენტმა, ეგონა, რომ გამოიყენა სათავისოდ და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ.

– სწორედ ამ ფონზე ხომ არ უნდა მოხდეს ქართული შენაერთების გამოყვანა, რათა სიტუაცია დამშვიდდეს? აბა, საზარბაზნე ხორცად უნდა იქცნენ ქართველი ჯარისკაცები?

– კონტინგენტის გამოსვლა ძალიან რთული იქნება. მოდით, პრაგმატულად მივუდგეთ. მე მომხრე ვარ, რომ გამოვიდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არ იქნება სწორი გადაწყვეტილება, იმიტომ რომ, ასეთი რთული რეგიონებიდან კონტინგენტი არ გაჰყავთ, მაშინ სხვამ უნდა ჩაანაცვლოს. ჩვენ იმდენი შევიყვანეთ, ჩვენ თვითონ ვეხვეწებოდით ნატოს ხელმძღვანელობას, გინდა თუ არა, შეგვიყვანეთ, შეგვიყვანეთო და ორჯერ აბსოლუტურად გაუგებრად გავზარდეთ ჩვენი კონტინგენტი. ახლა იმხელა სივრცე უჭირავს ამ ჩვენს კონტინგენტს, რომ მაგის ჩამნაცვლებელი ნამდვილად არავინ არის. როტაცია უნდა მოხდეს თვეების განმავლობაში და ამასობაში კიდევაც ამოეწურება ჩვენს კონტინგენტს იქ ყოფნის ვადა საერთოდ. ისე არ მოხდება, რომ გამოიყვანო 1500 კაცი და ასე უცებ ვიღაცა სხვა 1500 შეიყვანო. ამ ოპერაციაში მონაწილე სამხედროების დიდი უმრავლესობა არის ბევრად ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ჩვენ ვართ. გუშინ კობა ლიკლიკაძემაც ახსენა, 8-მილიონიან ჩეხეთს ჰყავს 50 კაცი სულ წარმოდგენილი იქ დაჩვენ მეზობლებს, აზერბაიჯანსა და სომხეთს სულაც ოც-ოცი ჯარისკაცი ჰყავთო.

– რა პოლიტიკა იყო ეს, რომ ამდენი კაცი გვყოლოდა?

— რასაკვირველია, თავის გამოჩენის პოლიტიკა. ჩვენი ხელისუფლება ყოველთვის ცდილობდა, ყოველთვის პირველი ყოფილიყო რაღაცაში, ან სოციოლოგიურ გამოკითხვებში, ან მსოფლიო ბანკის დასკვნებში. აი, აქაც, ნატოს შემთხვევაში, რომ ჩვენ გვყავს ყველაზე მეტი იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ნატოს წევრები არ არიან. მოდით, გავანებოთ თავი პოლიტიკანობას და ავილოთ ჩვეულებრივი პრაგმატული ნაბიჯი, რომ სასარგებლოა კიდევაც ქართული კონტინგენტისთვის იქ ყოფნა, იმ თვალსაზრისით, რომ ქართველი მეომრები მიეჩვიონ საომარ სიტუაციებს, იმიტომ რომ, საქართველო მუდმივი ომისა და დაძაბულობის ეპიცენტრშია.

— *კი მაგრამ, ბატონო მამუკა, რის ფასად?* — მეც მაგას ვამბობდი, იმდენად არის ეს პროცესი პოლიტიზებული და იმდენად არის პოლიტიკანობით დაკავებული ჩვენი ყოფილი ხელისუფლება, რომ ამან უკვე მახინჯი ფორმები მიიღო და ვიღებთ ამ შედეგს. სხვა სახელმწიფოებზეც არის თავდასხმა, როგორ არ არის, მე მახსოვს, ესპანელებზე, იტალიელებზე იყო ასეთი შეტევები განხორციელებული თავის დროზე, მაგრამ მათი რაოდენობა არ შეედრებოდა ქართველების რაოდენობას, გარდა მაგისა, მათ ჰქონდათ ცალკე გამოყოფილი უბნები და ყველამ იცოდა, რომ ეს იტალიური ან ესპანური უბანია. ჩვენი არ არის ისე, რომ ქართული უბანი იყოს გამოყოფილი. სადაც თავდასხმა მოხდა, იქ ამერიკელებიც იმყოფებოდნენ და გვერდზე არის ურუგვაელების ბაზა. სადაც ჩვენები იმყოფებიან, ამერიკული ბაზაა, მაგრამ, იმდენი ვქენით, რომ გამოვჩნდით, რომ ამერიკელები და ინგლისელები კი არ არიან, მაინცდამაინც ქართველები არიან იქ.

— ბატონო მამუკა, ვხედავთ, როგორი ფეთქებადსაშიშია სააკაშვილი, ასაფეთქებლად გამზადებული ბომბივით არისო, ასეთი შეფასებაც მოვისმინე. როგორ უნდა მოხდეს მისი განეიტრალება?

– სააკაშვილის განეიტრალებაზე მე რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, ხელისუფლების გადასაწყვეტია ეგ ამბავი. სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ შექმნეს მსოფლიო პანიკა იმის თაოგაზე, რომ, არიქა, პოლიტიკურად გვდევნიანო და ვიღაცები მართლა იჯერებენ ამ ამბავს. ვიღაცებისთვის ფული აქვთ მიცემული, ვიღაცა სიტყვიერად იჯერებს ამას და ატეხილია ერთი წივილ-კივილი ამ პატარა საქართველოს გამო. შეიძლება, რომ დღე და ღამე "ვაშინგტონ პოსტში" საქართველოზე წერილები იბეჭდებოდეს? მე ეს წარმოუდგენლად მიმაჩნია. ამას უკვე მიეჩვივნენ ქართველები და ჰგონიათ, რომ მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს საქართველო მაინცდამაინც. ეს, ერთი შეხედვით, ცუდი არ არის, მაგრამ სულ სკანდალებით როგორ უნდა ვიყოთ მსოფლიო პრესის ყურადღების ცენტრში?! კარგი რაღაცით ვიყოთ, არ შეიძლება? დღეს, პრაქტიკულად, ქვეყანაში ორხელისუფლებიანობაა და დღევანდელი ხელისუფლება ჯერ ვერ დგამს გასაგები მიზეზების გამო იმ ნაბიჯებს, რომ ეს ორხელისუფლებიანობა დაამთავროს. ამიტომ მიჰყავს პროცესი ოქტომბრამდე. მაქსიმალურად ცდილობს, ეს დამთავრდეს მშვიდობიანად, მაგრამ არ ისვენებენ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები და ხედავთ, რა დღეშიც არიან. გუშინ გამოვიდა დავით ბაქრაძე და კომპრომატების განადგურებაზე ილაპარაკა. დავით ბაქრაძე და გია ბარამიძე გვეუბნებიან, ეს კომპრომატები აუცილებლად უნდა განადგურდეს და ყველანი უნდა დაისაჯონ, ვინც ამას ქმნიდაო ისე თვალსა და ხელს შუა გაყრიან ნაცარს, რომ უაღრესად მშვიდი რომ იყო ადამიანი და დამამშვიდებელი წამალი გქონდეს დალეული, მაინც გაგიჟდები. მაგათ დროს არ იყო, ეს კომპრომატები რომ იქმნებოდა?! მაგათ გვერდზე არ მუშაობდა ეს ხალხი, ვინც ამ კომპრომატებს ქმნიდა?! და მათზეც ქმნიდნენ კომპრომატებს. პარლამენტის თავმჯდომარე რომ ხარ და არ იცი, როგორ მუშა-კოსი. მე კი პირიქით მგონია, შენ თვალთმაქცობ, ყველაფერი ძალიან კარგად იცოდი, ახლა მოგინდა ლაპარაკი და სწორედ ამას ჰქვია პოლიტიკანობა! რა, არ იცოდა დავით ბაქრაძემ, რომ კუდის ხელმძღვანელობა ამ კომპრომატებს ქმნიდა?! არ იცოდნენ, რომ კომპრომატები მათზეც იქმნებოდა?! არ იციან, რომ კონკრეტული სახელი ჰქვია ამ კომპრომატების შემქმნელს? ეს არის ვაჟა ლილუაშვილი! ახლა ქვემო ქართლის გუბერნატორად რომ ნიშნავს. არ იცოდნენ?! ყველაფერი ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ ახლა მოუნდათ ამ თემაზე ლაპარაკი და ეს სირცხვილია! ასეთი პოლიტიკური ელიტა რომ გვყავს, სწორედ პოლიტიკური ელიტა ჰქვია პარლამენტის ამხელა ფრაქციას, უბრალოდ, ქვეყანაში ვერ იქნება ვერც აღმშენებლობის პროცესი და ვერც მშვიდობა იქნება. მუდმივად იქნება ასეთი დაძაბულობა და გარეშე ძალების გამოყენება ქვეყანაში არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ.

### **7367009U ᲓᲐᲦᲣᲞᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝᲔᲑᲡ 9 N36NLL RJ3MJL3363**236

#### ნათია ხურცილავა

შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ ფარული ჩანაწერების არქივის განადგურებასთან დაკავშირებით დიპლომატებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან დახურულ ფორმატში საბოლოო კონსულტაციები გაიმართა.

შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრას ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები და არასამთავრობო სექტორის წევრები ესწრებოდნენ. შეხვედრას სპეციალური წარმომადგენელი თომას ჰამერბერგიც ესწრებოდა.

როგორც შეხვედრის დაწყებამდე საია-ს წარმომადგენელმა ეკა ფოფხაძემ განაცხადა, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცა" მხოლოდ უკიდურესად მნიშვნელოვანი და გამოძიებისთვის აუცილებელი ინფორმაციის შენახვას ეთანხმება, ისიც იმ შემთხვევაში, ๑ๆ งฮ บงชกบ ๊กธิ์ฐักด์ฮิงเร็กง บกบชั้นกบ บงฮิงคั้ง แกบ საქმეზეა თანდართული.– თუ ასეთს ადგილი არ აქვს, ამ შემთხვევაში ეს ინფორმაცია უნდა განადგურდეს, რადგან ეს არის პირადი ცხოვრების მაკომპრომეტირებელი ინფორმაცია და ინტერესი პირადი ცხოვრების დაცულობის კუთხით უნდა გაკეთდეს. ამასთან, შეიძლება დაისვას კითხვა, ამ ინფორმაციის განადგურებით, მომავალში გა-อิกปกาอ้าง หาอิ งค์ อุงารง จึงคั้ง อากอ้าง เปรเร งค์เกอ้างไ გამოსავალი და ჩვენ გვექნება ინიციატივა, რომ მოხდეს ამ ჩანაწერების აღრიცხვა, დოკუმენტალურად ძალიან მოკლე აღწერილობა. ამაში შეიძლება, წინასწარ მონაწილეობა სასამართლომაც მიიღოს, შეიქმნას რაღაც სამართლებრივი მექანიზმი და ისე მოხდეს დაარქივება, ოღონდ ინფორმაციულად და არა ჩანაწერებით, - განაცხადა ფოფხაძემ.

– საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" წარმომადგენლის გია გვილავას განცხადებით, აღნიშნული არასამთავრობო მიიჩნევს, რომ მასალები, რომელიც სამინისტროში ინახება, იმ შემთხვევაში უნდა იქნას განადგურებული, თუ გამოძიებასთან კავშირი არ აქვს.

- თუ კავშირი აქვს, არსებობს კანონით დადგენილი პროცედურა, რომ მტკიცებულება დაახარისხონ. ჩვენ გვაინტერესებს სამინისტროს საბოლოო პოზიცია, თუ რაში სჭირდებათ ეს მასალები და რას აპირებენ. ასევე ვინ იქნებიან პასუხისმგებელი პირები, – განაცხადა გვილავამ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ლევან იზორიამ ჟურნალისტებთან კომენტარი გააკეთა.

მინისტრის პირველი მოადგილის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში არსებული ფარული ჩანაწერების არქივს სპეციალურად შექმნილი კომისია გაანადგურებს.

ლევან იზორია:

ჯერ კიდევ თებერვალში, შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გააკეთა საჯარო განცხადება უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების განადგურების შესახებ. აქვე მან აღნიშნა, რომ მაქსიმალურად იქნებოდა საზოგადოების წარმომადგენლები ამ პროცესებში ჩართული. ჩვენ ეს პერიოდი დაგვჭირდა დახარისხებისთვის. მოგეხსენებათ, რომ დღემდე აღნიშნული მასალები სისტემატიზებული არ იყო. თუმცა ზოგიერთი მათგანი შესაძლოა საინტერესო ყოფილกรูต დანაშაულის გამოძიების თვალსაზრისით. სამწუხარო რეალობაა, რომ უმეტესობა მათგანი უკანონოდ არის მოპოვებული და გამოძიებასთან, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებთან არავი-ดงคัก สูงสูฮึกค์ก งค์ งปูรูป. งค์กป จักค์ตั้งจักค์ อีกอิงค์ตๆლი იმისკენ, რომ იყოს მაკომპრომეტირებელი მასალა პოლიტიკური მოწინააღმდეგის წინააღმდეგ. გვინდოდა ეს სამწუხარო რეალობა საქართველოში სამუდამოდ დასრულებულიყო. ამის კეთილი ნება და პოლიტიკური პასუხისმგებლობა ასევე მინისტრის მიერ თებერვალში იქნა გაცხადებული. დღეს უბრალოდ მივიწვიეთ როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე დიპლომატები და მათ შევთავაზეთ შემდეგი. ახლო მომავალში შეიქმნება კომისია, სადაც იქნებიან ისეთი მაღალი პოლიტიკური თანამდებობის პირები, როგორიც არის შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი და ასევე საზოგადოების წარმომადგენლებიც, რათა მოხდეს აღნიშნული მასალების განადგურება და ეს მასალები ჩაბარდეს საბოლოოდ ბინძურ წარსულს. აქედან გამომდინარე, უკვე ეს კომისია შეუდგება მალე მუშაობას. ბუნებრივია, მისი მუშაობის შედეგად შედგება აქტი, სადაც აღრიცხული იქნება მასალების რაოდენობა, რომელიც განადგურდე-

მისივე თქმით, პირებს, რომლებიც მათ ხელთ არსებულ ფარულ ჩანაწერებს საგამოძიებო ორგანოებს ნებაყოფლობით ჩააბარებენ, ამნისტია შეეხებათ.

"იმის თავიდან აცილების მიზნით, რომ კერძო პირისგან არ იქნეს ეს მასალები ბოროტად გამოყენებული, ჩვენ ვაპირებთ და უკვე გვაქვს მოლაპარაკებები საკანონმდებლო ორგანოსთან,



**ᲤᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ** 

**ᲐᲠᲥᲘᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲔᲡ** 

წარმომადგენელი თომას ჰამერბერგი მიიჩნევს, რომ უკანონო ჩანაწერების გაკეთება, გამოყენება და შენახვა კრიმინალია, ხოლო ის, თუ როგორ გადაწყდება ჩანაწერების გა ნადგურების საკითხი, მთავრობისთვის დიდ გამოწვევას წარმოადგენს.

როგორც აღვნიშნეთ, შეხვედრას თომას ჰამერბერგიც ესწრებოდა. შეხვედრა თომას ჰამერბერგმა დასრულებამდე დატოვა. ჰამერბერგმა განაცხადა, რომ ძალიან მნიშ-

ვნელოვანია დისკუსია იშის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვეპყროთ პირთა პერსონალური ცხოვრების ამსახველ უკანონო ფარულ ჩანაწერებს.

თომას ჰამერბერგი:

– მე მივესალმე შინაგან საქმეთა სამინისტროს და მინისტრის გადაწყვეტილებას, რომ მან გამართა ეს დისკუსია და კონსულტაციას გადის ექსპერტებთან და არასამთავრობო ორგანიზაცი ების წარმომადგენლებთან. მთავარი პრინციპი უნდა იყოს, რომ მსგავსი ჩანაწერების გაკეთება კრიმინალია, კრიმინალია მისი გამოყენება დასაშანტაჟებლად, ასევე კრიმინალია მათი შენახვა და სხვებისთვის გადაცემა ან გავრცელება, – განაცხადა თომას ჰამერბერგმა. მისი თქმით, პირველ რიგში, მთავრობამ უნდა მონახოს გზა, თუ როგორ გაანადგუროს ყველა ეს მასალა, მაგრამ, ამავე დროს, უნდა დარჩეს შესაძლებლობა წაუყენოს სისხლის სამართლის ბრალდებები იმ პირებს, ვინც ეს უკანონო ჩანაწერები აწარმოა.

ჰამერბერგი აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული იმ პირთა ინტერესები და პირადი ცხოვრების უფლება, რომლებიც ამ ფარულ ვიდეოჩანაწერებზე არიან აღბეჭდილი. ჰამერბერგის თქმით, მთავრობა აპირებს შექმნას კომისია, რომელიც სანდო ადამიანებისგან, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან იქნება შემდგარი და რომლებიც შეისწავლიან, თუ რამდენადაა დასაშვები ამა თუ იმ საქმეზე ფარული ჩანაწერის განად-

ჰამერბერგი მიიჩნევს, რომ აღნიშნული კო-მისიის წევრებმა არ უნდა ნახონ ეს ვიდეომასალები, რადგან იმ ადამიანებს, ვინც ფირზე არიან აღბეჭდილი, აქვთ უფლება, რომ მათი პირადი ცხოვრება დაცული იყოს.

ჰამერბერგის თქმით, ეს ხელისუფლებისთვის დიდი გამოწვევაა, რადგან, ერთი მხრივ, გამოძიება ბოლომდე უნდა მივიდეს, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა დაიცვან ამ ადამიანების პირადი ცხოვრების უფლება.

ნინო ლომჯარია, არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარე:

– კომისიის წევრებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეცეთ უფლება, რომ უშუალოდ ნახონ ის მასალები, რადგან ფარული ჩანაწერი შეიცავს ადამიანის პერსონალურ ინფორმაციას, რომელიც მის პირად ცხოვრებას ეხება. კომისიის წევრებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ რა ხანგრძლივობის ვიდეოა, რა ტიპის შინაარსის მასალაა ვიდეოზე, ეს ყველაფერი გაიგონ. სხვა სახის მეთოდის გამოყენებით მოხდება ამ მასალების განადგურება ისე, რომ კომისიის წევრებს ჰქონდეთ ინფორ მაცია, რამდენი დოკუმენტი განადგურდა, რა მოცულობის და რა ტიპის ინფორმაცია.

– კომისიის წევრების შემადგენლობა თუ დასახელდა შეხვედრაზე?

კანდიდატები დასახელდა. მინისტრი შეარჩევს სამ-ოთხ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელს. იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება ამ საკითხზე მუშაობა. ყველა მივედით იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ამ დოკუმენტების განადგურება. უკვე არავინ საუბრობს ამ ჩანაწერების დაარქივებაზე.

ლაშა ტუღუში, "რეზონანსის" მთავარი რე-

– შინაგან საქმეთა სამინისტროდან პასუხი მივიღეთ, რომ უკანონოდ მოპოვებულ მასალებს გაანადგურებენ. გაანადგურებენ სწრაფად. ასევე სამინისტროს მხრიდან გამოითქვა სურვილი, რომ კომისია შეიქმნება. კომისიის შემადგენლობაში შევლენ: შინაგან საქმეთა მინისტრი, მთავარი პროკურორი, ასევე საზოგადოების წარმომადგენლები. მათ გვითხრეს, ორი ან სამი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელი შეიძლება იყოს კომისიაში. რამდენიმე კანდიდატი დასახელდა. სამინისტროს წარმომადგენლები შეარჩევენ კანდიდატებს. შეიქმნება კომისია და კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას. კომისიის წევრები კონკრეტულ მასალებს არ ნახავენ. შედგება ოქმი, თუ რა რაოდენობის მასალაზეა საუბარი, როგორ არის ის დახარისხებული და ა.შ. ამის შემდეგ მოხდება ჩანაწერების განადგურება. დროა ჩვენ უარი ვთქვათ

ამ ცუდ მემკვიდრეობაზე.

ნათია ხურცილავა

6 ივნისს ავღანეთში, აისაფის ოპერაციაში მონაწილეობის განმავლობაში საქართველომ ყველაზე დიდი დანაკლისი განიცადა. ჰელმანდის პროვინციაში მომხდარი ტერორისტული თავდასხმის შედეგად საქართველომ ჯარისკაცი დაიღუპა და 9 დაიჭრა. დაღუპულებს სამშბლოში 9 ივნისს ჩამოასვენებენ.

ავღანეთში დაღუპული ქართველი სამხედრო მოსამსახურეები, საქართველოს შეიარაღებული ძალების მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში მსახურობდნენ. სამხედროები მისიის შესასრულებლად ავღანეთში 2013 წლის აპრილში გაემგზავრნენ. **6** ივნისს კი ქართულ ბაზაზე განხორციელე-ბული ტერორისტული აქტის შედეგად 7 ქართველი სამხედრო დაიღუპა:

კაპრალი თეიმურაზ ორთავიძე, კაპრალი გიორგი ადამოვი, პირველი კლასის რიგითი ზურაბ გურგენაშვი-ლი, რიგითი მიხეილ ნარინდოშვილი, რიგითი ბორის ცუგოშვილი, პირველი კლასის რიგითი ზვიად სულხანიშვილი და პირველი კლასის რიგითი გიორგი ღუჭაშვილი.

დაიღუპა შვიდი ქართველი ჯარისკაცი და დაიჭრა ცხრა. თავდაცვის სამინისტროს მიერ გავრცელებული ก่อสูกค่องเรกกอ, องสู้คัก บังอิხედროებს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწიათ და მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება.

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ეს არის მეორე შემთხვევა, როდესაც ქართველი ჯარისკაცები ჰელმანდის პროვინციაში ტერორისტული აქტის მსხვერპლი ხდებიან

მომხდარის გამო თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ბრიუსელში მიმდინარე ვიზიტი შეწყვიტა და ავღანეთში გაემგზავრა. თავდაცვის მინისტრმა დაჭრილი სამხედროები მოინახულა.

ციით, ალასანიასთან ერთად ადგილზე სამხრეთ-დასავლეთ რეგიონული სარდლობის ხელმძღვანელი, გენერალ-მაიორი უოლტერ მილერიც იმყოფებო

ირაკლი ალასანიამ ქართველი სამხედროების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია მათი მკურნალი ექიმებისგან პირადად მიიღო.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი დაჭრილ სამხედროებს გაესაუბრა. მან ჯარისკაცებს მალე გამოჯანმრთელება უსურვა

საქართველოს პრემიერმინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, საქართველო მშვიდობიანი მსოფლიოსთვის ბრძოლას გააგრძელებს.

შესაბამისად, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქარ-თული მხარე, დიდი დანაკარგის მიუხედავად, აღებულ ვალ-დებულებას ბოლომდე ასრულებს და აისაფის ოპერაციაში მონაწილეობას აგრძელებს.

ამის შესახებ პრემიერმა ავღანეთში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეო-მიმართვაში განაცხადა.

– ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში უდიდესი მსხვერპლი გაიღო და ეს მთელმა მსოფლიომ იცის. ჩვენმა ძმებმა და შვილებმა თავი შესწირეს მსოფლიოს უსაფრთხოებას და ბრძოლას ტერორიზმის წინააღმდეგ. ტერორიზმს კი ეროვნება და საზღვრები არ აქვს. ეს 21-ე საუკუნის უდიდესი გამოწვევაა. ტერორიზმთან ბრძოლა ურთულესი და ამავე დროს მეტად საპატიო მისიაა, რომელსაც საერთაშორისო სამშვიდობო ძალებთან ერთად გმირი ქართველი სამხედროები ღირსეულად ასრულებენ

დროა. ომში წასული ჯარისკაცები ყოველთვის არიან რისკის ქვეშ და არის საშიშროება ამგვარი მოვლენების, მაგრამ როცა ეს ხდება, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მძიმეა, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, "ჩვენი ვალია, თითოეული დაღუპული ჯარის-კაცის ხსოვნის წინაშე, არ ჩამოვუშვათ ხელები, არ დავიხიოთ უკან და გავაგრძელოთ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ყოველდღიური ბრძოლა, სანამ პირში სული გვიდგას".

ჰელმანდის პროვინციაში განვითარებული მოვლენების გამო, ნატოს გენერალურმა მდივანმა საქართველოს ხელისუფლებას სამძიმარი გამოუცხადა. ამერიკის შეერთებული



ჩვენი ჯარისკაცები საქართველოდან შორს, უცხო მიწაზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად, ჩვენს სამშობლოს და მიწას იცავენ. ეს ბიჭები ჩვენი ქვეყნის სტაბილურობის, ჩვენი შვილების, ჩვენი მომავალი თაობების უსაფოთხოების บงდაოაჯოზე დგანან. მიუხედავად ამ თავ ზარდამცემი ტრაგედიისა, ჩვენ ვერაფერი გაგვტეხავს, უკან ვერავინ დაგვახევინებს. ჩემი დავალებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრი უკვე ავღანეთშია, ჩვენს ჯარისკაცებთან. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მშვიდობიანი მსოფლიოსათვის, მშვიდობიანი საქართველოსათვის. კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ჩვენს ხალხს და გამძლეობას ვუსურვებ ამ მძიმე დღეებში, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

დაჭრილი 9 ქართველი სამხედოო ბაზა "ბასტიონზე' მდებარე ცენტრალურ სამხედ რო ჰოსპიტალში გადის მკურნალობას. უმეტეს მათგანს ბაროტრავმა აღენიშნება. 42-ე ბატალიონის სამხედრო ექიმის, მაიორ ზურაბ ზაქარაიას თქმით, ქართველი გმირების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

პარლამენტის მჯდომარე დავით უსუფაშვილი ავღანეთში დატრიალებული ტრაგედიის გამო მთელ საქართველოს სამძიმარს უცხადებს.

– ვუსამძიმრებ ყველა გარდაცვლილის ოჯახს, ახლობელს და საქართველოს ყველა მოქალაქეს იმიტომ, რომ ეს იმ ტიპის ტრაგედიაა, რომელიც ყველას ოჯახში შემოდის და უმძიმესი დღეებია, უმძიმესი

შტატების ელჩი რიჩარდ ნორლანდი ავღანეთში შვიდი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს. — ძალიან დამამწუხრა ავ-

ღანეთში შვიდი მამაცი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვამ. ჩემი ქვეყნის სახელით გულწრფელად ვუთანაგრძნობ დაღუპულ თა ოჯახებს, აგრეთვე ქართველ ხალხსა და სახელმწიფოს. ამ ჯარისკაცებს თავს დაესხნენ, რადგან ისინი ძლიერები არიან; იბრძვიან თავდაუზოგავად და უშიშრად, ყველა ქართველისათვის დამახასიათებელი სიმამაცითა და გმირობით; იბრძვიან ამერიკელი საზღვაო ქვეითებისა და ავღანეთის ჯარის მხარდამხარ, როგორც მათი ტოლ-სწორნი, მეგობრები და ძმები; იბრძვიან წვენი საერთო ღირებულებების დასაცავად. გენერალი ბრიდლავი, რომელიც ნატო-ში ამერიკული შეიარაღებული ძალების მეთაურია, დღეს საღამოს პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს ესაუბრა, გულწრფელად მიუსამძიმრა და დაუდასტურა საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარდაჭერა. გახსოვდეთ ყოველთვის, რომ ამ ბრძოლაში საქართველო მარტო არ არის: შეერთებული შტატები กลิฑสึงรูฏอี้นั้ บงปุ้งคัดรูฏლัคบัง เอง ნატო-ელ მოკავშირეებთან ერთად ახალ საფრთხეებთან გასამკლავებლად, – განაცხადა ნორლანდმა.

ავღანეთში შვიდი ქართველი ჯარისკაცის დაღუპვის გამო, გუშინდელი დღე გლოვის დღედ გამოცხადდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ უწყებებში სა-ხელმწიფო დროშები დაეშვა.

#### 3N6 ᲐᲒ3NᲠᲗᲐ "ᲗᲐᲚNᲑᲐ6NᲡ" วก๕วฑวงก



ნათია ხურცილავა

გუშინ შინაგან საქმეთა მი-ნისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განცხადება გაავრცელა. მინისტრის განცხადებით, შინაგან საქმეთა სამინისტრო "თალიბანის" სახელით გავრცელებული ვიდეოს წარმომავლობის დასადგენად აქტიურად მუშაობს.

– შინაგან საქმეთა სამინისტრო ამჟამად აქტიურად მუშაობს, რათა დაადგინოს, თუ საიდან მოხდა აღნიშნული ვიდეოს ატვირთვა. მიმდინარეობს დადგენა, თუ რომელი ქვეყნიდან, რომელი აი-პი მისამართიდან მოხდა ამ ვიდეოს ატვირთვა. აქტიურად გვეხმარებიან უცხოელი პარტნიორები. ამ ეტაპზე სხვა დამატებით ინფორმაციას ვერ მოგაწვდით, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

შინაგან საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ პანიკის არავითარი საფუძველი არ არსე-

ღარიბაშვილი მოსახლეობას სიმშვიდისკენ მოუწოდებს და აცხადებს, რომ ქვეყანაში უსაფრთხოების ზომები უმაღლეს დონეზეა დაცული.





#### በሐህታሮበ **ᲐᲚᲐᲡᲐᲜᲘᲐᲛ** ደንؤሐበლበ ᲡᲐᲛᲮᲔᲦᲠᲝᲔᲑᲘ ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲣᲚᲐ

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, რომელიც პრემიერის დავალებით ავღანეთში გაემგზავრა, გუშინ,

ჰოსპიტალში, თავდასხმის შედეგად დაჭრილი სამხედროები მოინახულა. ინფორმაცია და ფოტომასალა ამის შესახებ თავდაცვის სამინისტროს "ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე ვრცელდება. შეგახსენებთ, რომ 6 ივნისს, ავღანეთში, ქართულ სამხედრო ბაზაზე თავდასხმის შედეგად 7 ქართველი სამხერო დაიღუპა, 9 კი დაიჭრა.

ნიუსპრესი

#### **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲩᲕᲔᲜ ᲛᲨᲕᲘᲦᲝᲑᲘᲐᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲘ** ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲗ"

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ტრაგედიის მიუხედავად, საქართველო მშვიდობიანი ქვეყნისა და მსოფლიოსათვის ბრძოლას გააგრძელებს და მას უკან ვერავინ დაახევინებს.

"ჩვენმა ქვეყანამ უდიდესი მსხვერპლი გაიღო საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის ბრძოლაში და ეს მთელმა მსოფლიომ იცის. ჩვენმა ძმებმა, ჩვენმა შვილებმა, მშვიდობიანი მსოფლიოსათვის ბრძოლას სიცოცხლე შესწი-

ტერორიზმს ეროვნება და საზღვრები არ აქვს. ეს XXI საუკუნის უდიდესი გამოწვევაა. ტერორიზმთან ბრძოლა ურთულესი და ამავე დროს მეტად საპატიო მისიაა, რომელსაც საერთაშორისო სამშვიდობო ძალებთან ერთად გმირი ქართველი სამხედროები ღირსეულად ასრულებენ. ჩვენი ჯარისკაცები საქართველოდან შორს, უცხო მიწაზე, საკუთარი სიცოცხლის ფასად ჩვენს ქვეყანას, ჩვენს სამშობლოს იცავენ. ეს ბიჭები ჩვენი სახელმწიფოს სტაბილურობის, ჩვენი შვილების, მომავალი თაობების უსაფრთხოების სადარაჯოზე დგანან. მიუხედავად ამ თავზარდამცემი ტრაგედიისა, ჩვენ ვერაფერი გაგვტეხავს, უკან ვერავინ დაგვახევინებს. ჩვენ გავაგრძელებთ ბრძოლას მშვიდობი ანი მსოფლიოსათვის, მშვიდობიანი საქართველოსთვის"– განაცხადა ბიძინა

ნიუსპრესი

#### ᲘᲚᲘᲐ 11 ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲘᲡ **ᲚᲐᲚᲣᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲗᲥᲕᲐᲛᲡ**

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი უწმინ-დესი და უნეტარესი ილია II ავღანეთში ქართველი ჯარისკაცების დაღუპვის გამო მწუხარებას გამოთქვამს.

"დიდია ჩვენი მწუხარება და გულისტკივილი ავღანეთში 6 ივნისს გარდაცვლილი საქართველოს ჯარისკაცების გამო, ვნუხვართ დაჭრილთა და ყველა იმ დაზარალებულთათვის, რომელთაც მიიღეს სხეულის დაზიანება. აღვავლენთ ლოცვებს თეიმურაზ ორთავიძის, გიორგი ადამოვის, ზურაბ გურგენაშვილის, მიხეილ ნარინდოშვილის, ბორის ცუგოშვილის, ზვიად სულხანიშვილის და გიორგი ღუჭაშვილისთვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს მათი უკვდავი სული, ხოლო მათ მშობლებს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს მოანიჭოს ჭირსა შიგან სიმტკიცე და მშვიდობა"-ნათქვამია პატრიარქის სამძიმრის წერილში.

#### 6N6M タコᲠᲯᲐᲜᲐᲫᲔ ᲐᲕᲦᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜ**ᲢᲘᲜᲑᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲛ**ᲪᲘᲠᲔᲑᲐᲡ ᲘᲗᲮᲝᲕᲡ

"დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს"ლიდერი ნინო ბურ-ჯანაძე ავღანეთში ქართული სამხედრო კონტინგენტის შემცირებას ითხოვს.

გუშინ საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე ნინო ბურჯანაძემ ავღანეთში დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებს მიუსამძიმრა და დასძინა, რომ ნატო-ს წევრი ქვეყნისთვის — საფრანგეთისთვის 8 ჯარისკაცის დაღუპვა საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ავღანეთიდან თავისი ჯარები გაეყვანა.

"დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერის განცხადებით, ავღანეთის სამშვიდობო მისიაში, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის შემდეგ საქართველოს ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს და დაღუპულთა რაოდენობაც პროცენტულად ყველაზე მეტი სწორედ მასზე მოდის, ამ ორი სახელმწიფოს შემდეგ.

"მინდა დიდი მწუხარება გამოვხატო ქართველ ჯარისკაცების დაღუპვის

გამო და მივუსამძიმრო მათ ოჯახებს, მეგობრებს, მთელს საქართველ სამძიმრის გამოცხადება ამდენ ხანს იმიტომ დავაგვიანეთ, რომ ვფიქრობდით მხოლოდ სამძიმრით შემოვფარგლულიყავით თუ გვეთქვა ის, რასაც ახლა ვამბობთ. დიახ, ჩვენ ეს უნდა ვთქვათ, იმიტომ, რომ კიდევ არ დაემატოს მსხვერპლი. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით საქართველოს მონაწილეობა მიეღო საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში, მაგრამ ჩვენი სამხედრო კონტინგენტი უნდა იყოს ადეკვატური საქართველოს როლისა და ადგილისა მსოფლიოში. დღეს თითოეული ჩვენგანი დავდექით გამოწვევის წინაშე.,-აღნიშნა პრესკონფერენციაზე ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ავლანეთიდან დიდი ხნის ნინ გაიყვანეს ჯარები გერმანიამ, საფრანგეთმა და ნატოს წევრმა კიდევ სხვა სახელმწიფოებმა.



#### **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲡᲣᲤᲐᲨᲕᲘᲚᲘ: "ᲗᲐᲚᲘᲑᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ** 3ᲘᲦᲔᲝᲠᲒᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ 3**)6**0300 ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ"

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მიიჩნევს, რომ თალიბანის სახელით სოციალურ ესელში გუშინწინ გავრცელებული ვიდეორგოლის გამო ქვეყანაში პანიკის საფუძველი არ არსებობს.

პარლამენტის თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული ვიდეორგოლის გავრცელება და ავღანეთის ჰელმანდის პროვინციაში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში მონაწილე ქართველი ჯარისკაცების წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობა მხოლოდ დამთხვევაა.

მედიანიუსი

# መንዓንሢ ሄዮጋሀዓጋ፡ **..ᲡᲐ**ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜ**&**Ო ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ **ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲙᲕᲔᲗᲐᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ**"

თამარ ნინიძე

#### ᲘᲜᲒᲔᲠᲕᲘᲣ ᲘᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ႱᲐᲖᲝᲒᲐᲦᲝᲔᲑᲘᲡ **ᲗᲐᲕᲛ**ᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲗᲐᲛᲐᲠ **ՔԻ**շՍԳՅՐ**Ս**ՋԵ

– სოციალურ ქსელებში დიდი აქტიურობაა ავღანეთიდან ქართველი ჯარისკაცების გამოყვანასთან დაკავშირებით. თქვენც იზიარებთ ამ მოსაზრებას?

– პირველ რიგში, ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ქართველი ჯარისკაცების დაღუპვასთან დაკავშირებით და ვიზიარებ დაღუპულთა ოჯახების მწუხარებას. მე ვფიქრობ, ასეთი აჟიოტაჟი გამოყვანასთან დაკავშირებით ზედმეტია, მალე სრულდება ავღანეთში ქართველი საჯარისო კონტინგენტის სამსახური, საქართველოს საგარეო პოლიტიკისთვის სასარგებლო არ არის ასეთი აჟიოტაჟი. ეს არის მცდე-ლობა იმისა, რომ საქართველო მოწყვიტონ დასავლურ კურსს. მე ვამბობდი, რომ საქართველო ფრთხილად უნდა იყოს მაჰმადიანებთან ურთიერთობაში, განსაკუთრებული აქტიურობა შეიძლება არ გამოიჩინოს, მაგრამ ზოგადად ავღანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობა-არ მონაწილეობის საკითხის ასე დაყენება არ მიმაჩნია სწორად.

– საკმარისია სააკაშვილი გაემგ ზავროს ავღანეთში, რომ იქ ქართველ ჯარისკაცებზე თავდასხმები ხდება, ამ პოზიციას იზიარებთ?

– არა მგონია ამასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს, ზოგადად მართალია, ფრთხილად უნდა ვიყოთ, მაგრამ კარგად მესმის ის მოტივი, რაც არსებობს ამ მისიაში მონაწილეობის სასარგებლოდ. ეს ხაზს უსვამს საქართველოს დასავლურ ორიენტაციას, მოკავშირეობა დასავლეთთან და ამერიკასთან ძალიან მნიშვნელოვანია იმ დროს, როცა საქართველოს ტერიტორიების 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ამიტომ მათ მხარდაჭერას და მათთან მოკავშირეობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს ანტიდასავლური აჟიოტაჟი ამას ხელს არ უწყობს.

რუსები ძალიან გააქტიურდნენ და ჩვენ ვნახეთ, საოკუპაციო ზოლის გადმოწევა მოხდა, რა იმალება ამ გადაწყვეტილების მიღმა?

ამ გადაწყვეტილების მიღმა იმალება ერთი რამ, სრულიად ნათელია, რომ პუტინის რუსეთის მიმართ რაც უფრო ქვეშევრდომული იქნება დამოკიდებულება, რაც უფრო უთავმოყვარეო და კოლაბორაციონისტული იქნება ეს დამოკიდებულება საქართვე-ლოს ხელისუფლების მხრიდან, მით უფრო მეტს მოითხოვს რუსეთი. დღევანდელი იდეოლოგები აცხადებენ, რომ რუსეთთან ყველაფერი უნდა დავთმოთ, ურთიერთობა უნდა დავალაგოთ, მაგრამ დალაგებაში ისინი სრულიად სხვა რამეს გულისხმობენ, აგრესია და შემდეგ ოკუპაცია გამოწვეული იყო მხოლოდ წინა ხელისუფლების რიტორიკითო, ამბობენ, რაც არ არის სწორი. რუსეთს აქვს მიზნები ჩვენი ტერიტორიების მიმართ და ეს არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლებაში. მას საქართველოს მიმართ აქვს პრეტენზიები და არა ცალკეულ ხელისუფალთა მიმართ. რაც უფრო უღირსი იქნება ჩვენი დამოკიდებულება რუსეთისადმი, რაც უფრო მონური იქნება, რუსეთი მით უფრო მეტ თავხედურ ნაბიჯებს გადადგამს ჩვენ წინააღმდეგ, პირიქით, რაც უფრო ღირსეულად დავიჭერთ თავს, რაც უფრო მტკიცედ დავადგებით არაღიარების პოლიტიკას, გაცილებით მალე მივაღწევთ ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციას. ცალმხრივი დათმობებით, გაუმართლებელი ხვეწნა-მუდარით, რომ აღადგინონ სავაჭრო ურთიერთობა, რასაც დამამცირებლად პასუხობს ონიშენკო, ასეთი ცალმხრივი მიდგომებით რუსეთი კიდევ უფრო მეტ ნაბიჯებს გადადგამს ჩვენს წინააღმდეგ. ეს არ ესმის საქართველოს მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, ხოლო ხელისუფლება ალბათ შეგნებულად ადგას ამ პოლიტიკას. რა უნდა ვთქვათ ისეთ ხელისუფლებაზე, რომლის მეთაურიც

ამბობს, არ მჯერა, რომ რუსეთს უნდო-

დეს მეზობელი ქვეყნის ოკუპაციაო, ეს წარმოუდგენლად დაშორებულია რეალობას და თანაც ევროპელ ლიდე-რებთან შეხვედრაზეც ამ აზრს ატა-რებდე. საქართველოს ხელისუფლების მეთაური, პირიქით, ხაზს უნდა უსვამ-დეს ამ ოკუპაციას და არა პირიქით, ცდილობდეს მის გამართლებას.

– წინასაარჩევნო კამპანიის დროს ქართული ოცნების პროგრამის ერთ-ერთი თეზისი იყო საქართველოს ურყევი კურსი დასავლეთისკენ და ნატოში განევრიანებისკენ, მაგრამ ამავე დროს სურვილი იყო რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენისა, ეს ორი მიზანი რამდენად თან-

რამ რეჟიმის შემსუბუქებას ითხოვენ. დეკრიშინალიზაცია სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისა, ოთხასი ლარი თუ ციხე, ეს კი არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ეს იქნება ადმინისტრაციული დარღვევა, თუ ეს სისხლის სამართლის დანაშაულად აღარ ჩაითვლება, ეს არ იქნება სახელმწიფო საზღვარი. ამისთვის იბრძვის რუსეთი.

– ამასთანავე, რუსეთს აქვს მზაკრული გეგმა, რომ საგარეო პოლიტიკაშიც გაიმყაროს პოზიციები, რომ თუ საქართველო გააუქმებს ოკუპაციის კანონს, გამოდის, რომ ეგუება ტერიტორიების დაკარგვას და დასავლეთი ცნობს ამ ტერიტორიებს, როგორც და-



ხვედრაშია ერთმანეთთან?

– რაც შეეხება დასავლურ კურსზე აპელირებას, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ განცხადებაა, შინაარსი კი ამ ხელისუფლებისა, რა ნაბიჯებსაც ის დგამს, სრულიად არ არის პროდასავლური კურსი. მათ ახლა არ შეუძლიათ პირდაპირ განაცხადონ ამ სურვილის შესახებ და ამას კვლავ უწოდებენ დასავლურ კურსს და ნატოში შესვლის სურვილს, მაგრამ ცარიელი სიტყვები არაფერს ნიშნავს, ქმედებებია საჭი-რო. რაც შეეხება რუსეთთან კეთილმეზობლურ ურთიერთობას, მე, რომელიც მომხრე ვარ გვქონდეს რუსეთის მიმართ პრინციპული პოლიტიკა, არ ვარ წინააღმდეგი კეთილმეზობლური ურთიერთობის, მაგრამ გააჩნია, აქ ვინ რას გულისხმობს ამ ურთიერთობის დალაგებაში. ტერიტორიების უდიდესი ნაწილი ოკუპირებულია, რუსეთი ნიშანწყალსაც კი არ ამჟღავნებს, რომ აპირებს ამ ტერიტორიებიდან გასვლას, პირიქით, მავთულხლართებს აგებს მოსახლეობის ეზოებში, ასეთ დროს შეუძლებელია რაიმე ნორმალიზაციაზე საუბარი. ურთიერთობის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ ერთი გზით, რუსეთმა იცოდეს, რომ ნებისმიერი ქართული ხელისუფლება, ნებისმიერი ქართველი არ დაუშვებს მასთან ურთიერთობას თუ ის არ მოახდენს ჩვენი ტერიტორიების დეოკუპაციას. ეს პირდაპირ დაკავშირებულია დეოკუპაციასთან.

– კარასინი-აბაშიძის შეხვედრაზე კარასინმა გაახმოვანა რუსეთის ხელისუფლების მოთხოვნა ოკუპაციის შესახებ კანონის გაუქმებასთან დაკავშირებით. მოტივაცია ეშმაკური იყო. თურმე რუსი ტურისტებისთვის ეს შემაფერხებელი ფაქტორია.

– უზომო გათავხედება დავინააგრესია, რომ ოკუპაციის შესახებ კანონი გაუქმდეს, აკვიატებული აზრია, რომ უნდა შევეგუოთ რეალობას, რომ ეს ტერიტორიები დამოუკიდებელი სახელმწიფოებია, და დისკომფორტი არ უნდა შევუქმნათ ოკუპანტს. რუსეთი ვერ ხვდება სათანადო რეაგირებას საქართველოს ხელისუფლებისგან და მეტიც, საპარლაშენტო უმრავლესობა გამალებული ცდილობს კარასინის ამ მოთხოვნის შესრულებას, შეტანილია ცვლილება კანონში ოკუპაციის შესახებ. ეს გუნდი მუშაობს რუსეთის შეკვეთაზე. არც მალავენ ამას, პირდაპირ გაუქმებაზე ვერ ლაპარაკობენ, მაგმოუკიდებელ სახელმწიფოებს. ეს ჩანაფიქრიც აქვს რუსეთს.

– ეს არის მთავარი, თორემ აქ ტურისტებზე ზრუნვა არ იგულისხმება მხოლოდ.

– კარასინმა განაცხადა, რომ რუსეთის ინიციატივა არ იყო საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა, და რომ მზად არის დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინოს. მაგრამ ხელისუფლება უნდა დარჩეს იმ პოზიციებზე, რომ ვიდრე ტერიტორიები ოკუპირებულია, არანაირი დიპლომატიური ურთიერთობა არ უნდა აღდგეს.

დიახ, აბსოლუტურად დაუშ-ვებელია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა დეოკუპაციის გარეშე. რუსეთმა კიდეც შეიძლება ახვეწნინოს ქართულ მხარეს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენაზე, მაგრამ ეს რუ-სეთის ინტერესია, რომ შეაგუოს სა-ქართველო ამ ტერიტორიების დაკარგვას. თუ საქართველო ამ სიმპტომებს ამოამჟღავნებს, მთელ მსოფლიოში წავა აღიარების სერია. პირიქით, ყოველ წუთს უნდა ვილაპარაკოთ ოკუპაციაზე და არ არის სწორი, რომ ხელიაუფლება ამბობს, დასავლეთი ამით არ უნდა შევაწუხოთო. ეს ჩვენი საკითხია.

პიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ საქართველო მაპს მიიღებს ნატოს მომავალ სამიტზე. რა აძლევს ამის თქმის საფუძველს?

ეს განცხადებაც, როგორც სხვა დასავლური განცხადებები, არაგულწრფელია. ცხადია, რომ დასავლეთს არ სურს ჩვენი ტერიტორიის რუსეთისთვის ჩაბარება. როგორც მოკავშირე საქართველოსთან, ურთიერთობის გაღრმავება სურს. სიტყვით კი ამბობს ივანიშვილი, რომ გვსურს მაპის მიღება და ნატოში შესვლა, მაგრამ მეორე მხრივ, ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც ამ მიზანს ძირს უთხრის. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა ყოფილი მაღალი თანამდებობის პირების დაპატიმრება სამართლებრივი საფუძვლის გარეშე. ეს ქვეყნისთვის დამაბრკოლებელია, ნაცვლად დემოკრატიისა და ეკონომიკის განვითარებისა, ყურადღების გამახვილება ხდება დაპატიმრებებზე. ეს ხელს უწყობს საქართველოს იზოლაციას დანარჩენი მსოფლიოსგან. ამ ხელისუფლებამ საბედნიეროდ ვერ მოახერხა, რომ დასავლეთს ინტერესი დაეკარგა საქართველოსად-

მერი ნამორაძე

გუშინ სეფსისის ცენცხის თანამშხომტებმა სიკვღილბის მაჩვენებღების შემციხება სიკვღილბის შემციხება, პიხდაპიხ <u>კავში</u>სშია სეფსისის ცენ<sub>ტ</sub>სის ახსებობასთან და გამახთედ მუშაობასთან.

მალვინა ჯავახაძე, სეფსისის ცენტრის სამეცნიერო ხელ-მძღვანელი, სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი:

სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი, რომელიც ვახტანგ ბოჭორი შვილმა შექმნა, 35 წელია არსებობს და მისი მიზანი არის სხვადასხვა სპეციალობის ექიმების კონსოლიდაცია მძიმე პაციენტის გადასარჩენად. როგორც ბატონი ვახტანგი ამბობდა, სეფსისი სიკვდილისწინა მდგომარეობა კი არ არის მხოლოდ, იგი უფრო ადრე იწყება და დროული დიაგნოსტიკა გადაგვარჩენს სეფსისის

ცესში სხვადასხვა გართულებები აქვს – ფილტვების ანთება, თირკმლის უკმარისობა, ყველა თავის დიაგნოზს სვამს და ერთიანად არ უყურებენ პაციენტს, რომ ეს არის სეფსისი. ერთიანი, მიზანმიმართული მკურნალობაა საჭირო. დროულად დასმული დიაგნოზი 100%-იანი გამოჯანმრთელებაა, დაგვიანებული დიაგნოზისას ძვირადღირებულია განკურნება და უფრო დაგვიანებული — სიკვდილის ტოლფასია.

- დღეს რა ხდება, სად მიჰყავთ გართულებული მდგომარე ობით მელოგინეები?

- დღეს არანაირი მითითება ჯანდაცვის სამინისტროსგან არ არსებობს. კერძო სამშობიაროებს არა აქვთ გაცნობიერებული, რა უნდა ქნან და სად უნდა წავიდეს გართულებული მელოგინე. ჰგონიათ, რომ უნდა წავიდეს მრავალპროფილურ კლინიკაში. ეს უარესია. იქ სხვადასხვა სპეციალისტი ნახულობს, ყველა თავისას ამბობს და ერთი სეფსისის სპეციალისტი, რომელიც თავს მოუყრის ამას, ასეთი არ არის. აქ ერთდროულად უნდა შეფასდეს კერა და ზოგადი მდგომარეობა. ცალ-ცალკე შეფასება არ შეიძლება. პროფესიული განვითარების საბჭოს სხდომაზე, სადაც ერთ-ერთი პაციენტის საჩივარი განიხილებოდა, ეს პაციენტი მოიყვანეს ჩვენთან, სრულიად მართებულად გამოგზავნა სამშობიაროს ექიმშა, როცა ჩათვალა, რომ იყო გართულება. ამასობაში გაირკვა, რომ პაციენტი დაზღვეულია. დაზღვევამ დაავლო ხელი

ეს ტერიტორია, უნდა განეთავსებინა ცენტრი რომელიმე სხვა შენობაში ან ახალი შენობა აეშენებინა, რაც არ განახორციელა. "ავერსმა" ხელშეკრულება ღირსეულად შეასრულა და სამწელიწადნახევარია აქ ვართ. მის მიმართ პრეტენზია არ შეიძლება გვქონდეს. თუ როგორ გაიყიდა, ეს უკვე პროკურატურის გამოსაძიებელია. ადრე იყო საუბარი სეფსისის, შიდსის, ინფექციური ცენტრების გაერთიანებაზე ერთი ეგიდით. ბოჭორიშვილის სიცოცხლეში ეს ვერ განხორციელდა. მერე იმუნოლოგიის გაერთიანებული ცენტრი სურდათ შეექმნათ და დაიწყეს, სხვათა შორის, რემონტი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, სახელმწიფომ სარემონტოდ 2004 წლამდე ჩადო 18 მილიონი. ზოგიერთი კორპუსი გარემონტდა, დრენაჟი გასწორდა, საკანალიზაციო მილები გასწორდა... ამ ციფრს შემთხვევით არ ვამბობ. საბოლოო ჯამში, "ავერსმა" ეს ტერიტორია დაახლოებით 18 მილიონად იყიდა. მე იურისტი არ ვარ, მაგრამ მოსაძიებელია ის საკითხი, რომ ყველა შენობა გაყიდვის წინ განულდა. ხელშეკრულებაში კი წერია, რომ "ავერსმა" იყიდა 18 შენობა-ნაგებობა ტერიტორიასთან ერთად. აქ თუ არ არის ვიღაცის ლობი, საბურთალოს ცენტრში, მიწას მომზადებული სადრენაჟო სისტემით, კანალიზაციით, შენობებით, ასეთ ფასად ვერ იყიდი.

– აქამდე რატომ არ მიმართეთ სასამართლოს?

– "ავერსი" დღეს კატეგორიულად თხოულობს, რომ დავცა**-**

სეფსისის ცენტრის თანამშრომლები უკვე ულტიმატუმის წინაშე დგანან — პირკელი იკლისისათვის მათ შენობა უნდა დაცალონ. ჯანდაცვის სამინისტრო მასმედიასთან აცხადებს, რომ ცენტრს აუცილებლად შესთავაზებენ ალტერნატიულ ფართს, შეთავაზება კი დღემდე არ ჩანს. კულუარებში იმასაც ამბობენ, რომ ჯანდაცვის სამინისტროს დიდად არ აღელვებს სეფსისის ცენტრის ბედი, თუნდაც იმიტომ, რომ ევროპაში მსგავსი ცენტრები არ არსებობს და მედიცინა მათ გარეშეც ვითარდება.

**Ի**33ՐՍՐՍՐ **B368M**N 75629666

განვითარებისგან და, შესაბამისად, ლეტალობისგანო. ქვეყნისათვის პრიორიტეტული ცენტრის ტერიტორია 2009 წელს წინა მთავრობის მიერ დაუსაბუთებლად გაიყიდა. რაც შეეხება საწეს-დებო კაპიტალს, 700 ათასიდან 60 ათასზე ერთ დღეში ჩამოიყვანა მისმა მფლობელმა – ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის სააგენტომ. ამ ცენტრის 100-პროცენტიანი წილის მფლობელი სახელმწიფოა. ტერიტორია შეიძინა "ავერსი-ფარმამ". ხელშეკრულების მიხედვით, 2 წელი ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებებს უნდა ეფუნქციონირა იჯარის გარეშე. 2011 წლის დეკემბრიდან "ავერსი-ფარმამ" დაიწყო იჯარის მოთხოვნა, რომელიც დღეს უკვე 3300 ათას ლარზეა ასული და ითხოვს ტერიტორიის გათავისუფლებას. წინა მთავრობის დროს რაღაც შეთანხმებები, დაპირებები იყო, მაგრამ ახლა კანონიერი მემკვიდრე ამ ტერიტორიისა კანონიერად ითხოვს თავისი უფლებების შესრულებას. "ავერსი ფარმას" არანაირი ვალდებულება არა აქვს აღებული ჩვენზე, ვალდებულება აქვს სახელმწიფოს და ჩვენ ვთხოვთ სახელმწიფოს, მისი შპს, ქვეყნისათვის აუცილებელი დაწესებულება, შესაფერის პირობებში განათავსოს, რომ გააგრძელოს ცენტრმა ფუნქციონირება.

— *რა პასუხს გაძლევთ ჯანდაცვის სამინისტრო?* – სიტყვიერი დაპირება არის, მაგრამ რეალური გადაწყვეტილება ამ ეტაპზე არ გვაქვს. ყველა მიმართულ წერილზე პასუხია, რომ შექმნილია სამთავრობო კომისია და იხილავს საკითხს. ჩვენ კი ფაქტის წინაშე ვდგებით, რომ ივლისიდან კარებს გვიკეტავენ და ვრჩებით ქუჩაში ჩვენი პაციენტებით

– ულტიმატუმის სახე აქვს ამ მოთხოვნას?

ულტიმატუმი წამოყენებულია სიტყვიერადაც, წერილობითაც, ოფიციალურადაც და ყველანაირად, ფინანსურადაც, რადგან იჯარის გადახდის საშუალება ჩვენ არ გვაქვს. ეს არა მარტო პერსონალის პრობლემაა, არამედ ქვეყნის პრობლემაა და ძალიან გვინდა, მოსახლეობას ხმა მივაწვდინოთ, რომ მისთვის აუცილებელ სამედიცინო დაწესებულებას ცუდი ბედი ელის და გადასარ-

ლუიზა მგალობლიშვილი, გინეკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი:

- საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ეს ცენტრი არის ბოლო იმედი მძიმე პაციენტისათვის. ჩვენთან მოდის უკვე ნამკურნალევი ავადმყოფი, დამძიმებული, სხვა გამოსავალს რომ ვერ ხედავენ, მაშინ გამოგ ზავნიან ჩვენთან. შემიძლია ვისაუბრო გინეკოლოგიის კუთხით, რადგან გინეკოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვარ. ზოგჯერ რთულდება მელოგინის მდგომარე-ობა. როცა რთულდება შემთხვევა, სამშობიარო პაციენტს დიდხანს ვერ გააჩერებს, რადგან არ არის ამისთვის აწყობილი სამშობიარო. დიდხანს გაჩერება არც შეიძლება, რადგან მერე შიდა ინფექცია ვითარდება. აბორტის შემდგომი გართულებები, გართულებული მელოგინეები, ჩირქოვანი გინეკოლოგია თავსდებოდა ჩვენთან. ასეთი მითითება იყო ჯანდაცვის სამინისტროდან. თუ სამშობიაროში მელოგინეს ჰქონდა გაურკვეველი ცხელება, აუცილებლად ხდებოდა ჩვენთან კონსულტაცია. ამაში იყო ბოჭორი შვილის გენიალობა, რომ დააკვირდა და ნახა, წამლები, როგორიც არ უნდა იყოს, ვერ იძლევა შესაბამის ეფექტს, დღესაც საზღვარგარეთ ათასობით დოლარი იხარჯება მძიმე სეფსისის მოსარჩენად, მაგრამ მაინც ვერ შემცირდა სიკვდილობა. რა ხდება? მეცნიერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სეფსისი მორჩენადია, თუ დროულად დასვამ დიაგნოზს. სეფსისს განვითარების პრო-

და გადაიყვანა პროვაიდერ-კლინიკაში. ამან გამოიწვია იმ პაციენტის გართულებული სიტუაცია. სერგეენკო კი წერს, რომ გართულება იმან გამოიწვია, პაციენტი არაპროფილურად მიიყვანეს, უნდა წაეყვანათ მრავალპროფილურ კლინიკაშიო. ე.ი. ისიც არ იცის, რომ 30 წლის განმავლობაში გართულებული მელოგინე მოდიოდა სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრში სამკურნალოდ და დიაგნოზის დასასმელად. ამით მეანი-ექიმების ხელშეწყობაც ხდებოდა, რადგან ისინი მაინც არ არიან ამ პრობლემებზე ორიენტირებულნი. მშობიარობა სხვა არის, გართულება სხვა არის. ახლა კერძო სამშობიაროებმა არც იციან, სად გააგზავნონ გართულებული მელოგინე, ადგილზე მკურნალობენ, სადაც არ ისმევა დროულად დიაგნოზი და მძიმდებიან პაციენტები. გუშინ ღამის 5 საათზე წავედი შინ, რადგან დამძიმებული მდგომარეობით შემოიყვანეს პაციენტი — მე-15 დღეს საკეისრო კვეთიდან. ცდილობდნენ ადგილზე მკურნალობას, ვერ უმკურნალეს და სასწრაფოდ უნდა გამეკეთებინა ოპერაცია. ის რომ დროულად მოსულიყო ჩვენთან, მე-4 მე-5 დღეს, შეიძლებოდა, არ დასჭირვებოდა ოპერაცია, ისე მომერჩინა. რა შედეგს მოიტანდა ასეთი პაციენტის გადაყვანა მრავალპროფილიან დაწესებულებაში, 16 წლის გოგოს, ხ–შვილის მაგალითიც კმარა, რომელსაც საკეისრო კვეთის შემდეგ განუვითარდა სეფსისი და დადიოდა უმაღლესი ტექნოლოგიების კლინიკებში, მაგრამ ისე დამძიმდა, ჩვენთან მოსული ძლივს სუნთქავდა. ვინ გამოგ ზავნა ჩვენთან? ფტიზიატრმა, რომელიც ჩვენი კონსულტანტია და იცის სეფსისი. ძლივს გადავარჩი-ნეთ 16 წლის გოგო. ეს იყო მრავალპროფილიან კლინიკებში

სიკვდილიანობის შემცირებას რომ თავი დავანებოთ, ინვალიდობის შემცირებაც ხომ მოხდება. ახალგაზრდა ქალისთვის საშვილოსნოს ამოღება მისთვის დიდი დანაკარგია. მიდის მერე იქამდე პროცესი, რომ აუცილებელი ხდება ეს სიცოცხლის გადა-

– აქციის გამართვას ხომ არ გეგმავთ, უკეთ რომ მიაწვდი ნოთ ხმა ხელისუფლებას?

– საქმეც ის არის, რომ აქციისთვის არ გვცალია. მძიმე პაციენტები ყოველ წუთს საჭიროებენ დაკვირვებას. ერთი მძიმე პაციენტიც რომ გყავდეს, ვერ მოშორდები

სულიკო კოსიაშვილი, ცენტრის ქირურგი:

– დიდმა მეცნიერმა, ვახტანგ ბოჭორიშვილმა, ეპოქას გაუსწრო და ახალი სიტყვა თქვა მსოფლიოში – ჩათვალა, რომ სეფსისი არის ვერაგი დაავადება, რომლის გამო უამრავი ადამიანი კვდებოდა. განსაზღვრა, რომ საჭირო იყო სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის შექმნა და არც შემცდარა. **35** წლის წინ სეფსისით გამოწვეული 60- პროცენტიანი სიკვდილობა 3-4 პროცენტზე დაიყვანა. რა არის ასეთი სეფსისი, ბოლოს და ბოლოს? ყველას შეუძლია ანტიბიოტიკის დანიშვნა, გამოწერა, მაგრამ მხოლოდ ანტიბიოტიკები არ არის საქმე. საუბარია პრინციპულ ორგანიზაციულ მიდგომაზე, თორემ ანტიბიოტიკს ყველა დანიშნავს. თუ ასეა, სეფსისს, ბოლოს და ბოლოს, სახლშიც უმკურნალებ, დაუნიშნავ ანტიბიოტიკს, მაგრამ ავადმყოფი არ მორჩება. შეიქმნა რა სეფსისი საწინააღმდეგო ცენტრი, იმ დღიდან მოყოლებული, აქვს მას პრობლემები. პირველ რიგში ტერიტორიაა ისეთ ადგილას, ტყე-პარკია, გამწვანებაა და ყველამ თვალი დაადგა. საბოლოო ჯამში, მივედით იქამდე, რომ ტერიტორია და შენობა გაიყიდა. "ავერსი-ფარმამ" იყიდა ორწლიანი ხელშეუხებლობის გარანტიით. წინა ხელისუფლებას, რომელმაც დანაშაულებრივად გაყიდა

ლოთ შენობა. ჩვენ აღმოვჩნდებით ღია ცის ქვეშ. მაგრამ ეს ჩვენი დამსახურება ხომ არ არის? ეს ყველაფერი გააკეთა წინა ხელისუფლებამ. წარმატებული ცენტრი, რომელიც ქვეყნის საქმეს აკეთებდა, მაღალპროფესიონალები მუშაობდნენ, უმძიმეს პაციენტებს არჩენდნენ, ვრჩებით ლია ცის ქვეშ. ჩვენ მსხვერპლნი ვართ. ეს ყველაფერი უნდა გადაწყდეს სამართლებრივად და სამარილიანად და არა ნეპოტიზმითა და ძმაკაცობით. უნდა ვუჩივლოთ წინა ხელისუფლებას, თუ რატომ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეო ბაში. კეთილი ინებოს პროკურატურამ და გამოიძიოს, რატომ აღმოვჩნდით ასეთ მდგომარეობაში.

სასამართლოში მიმართვას რაც შეეხება, ჩვენს შიდა ცოდვებთან დაკავშირებით უნდა მოგახსენოთ, ამის თაობაზე პირადად მე გაყიდვის დღიდან ვსაუბრობ, მაგრამ კოლექტივში ამის მხარდამჭერი დაბალი პროცენტით გამოვნახე. ბევრი ვერ ჩასწვდა იურიდიულ დეტალებს. ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება ის, რომ გავაგრძელოთ ფუნქციონირება, როგორც ვართ და სამართალი სამართალმცოდნეებმა განიხილონ. გულშემატკივარ იურისტებს მოვუწოდებ, დაგვეხმარონ.

– ახალ ხელისუფლებას თუ აკისრებთ პასუხისმგებლობას? – ეს საკითხი ჩიხშია შესული და ახალი ხელისუფლება ცდილობს, საკითხი თუნდაც ჩვენი დროებით მიჩუმათებით გადაწყვიტოს. ვერანაირ პირობებს ვერ გვთავაზობენ. თითქოს კერძო შესაკუთრეს უნდა მიასყიდონ შპს სეფსისის ცენტრი, როგორც სამედიცინო საქმიანობა. წინა ხელისუფლებამ გაყიდა ტერიტორია და შენობა, ახალ ხელისუფლებას უნდა უკვე სამედიცინო საქმიანობაც გაყიდოს. ჩემი აზრით, კერძო სტრუქტურას რომ მიასყიდი დაწესებულებას, მისი გადასაწყვეტი იქნება, შემდგომში მომგებიანია, წამგებიანია, ქვეყანას აწყობს, არ აწყობს, პრიორიტეტულია. ნახავს, რომ წამგებიანია? აღარ მინდაო, იტყვის და ამით, პრაქტიკულად, დახურული იქნება სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი. ეს ხელისუფლება ამბობს, სურვილიც რომ მქონდეს გადაყვანის, არსად მაქვს გარემონტებული ფართი, რომ გადაგიყვანო, ამიტომ ამ ცენტრს "ავერსს" მივასყიდიო. კეთილი, ბატონო, მიასყიდის, მაგრამ "ავერსი" ამ პირობებში, მისი სახელიდან გამომდინარე, არ მოგვცემს მუშაობის საშუალებას, უნდა გააკეთოს რემონტი და რემონტს რამდენ ხანში დაამთავრებს? ვერავინ ვეღარ მოსთხოვს ამაზე პასუხს.

ხელისუფლება თითქოს აცხადებს, რომ მისი პრეროგატივაა ცენტრის განვითარება, მაგრამ მეორე წუთს შეიძლება მოგაძახოს, მუქარის სახით, რომ ლიკვიდაციას გაუკეთებს ცენტრს მოტივით – ევროპასა და ამერიკაში თუ არ არის სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრი, იქვერ მკურნალობენ? მაოცებს ასეთი დამოკიდებულება. ევროპასა და ამერიკაში თუ არ არის "ვეფხისტყაოსანი", მე რა ვქნა. იქ ჩემი ქართული არ სჭირდებათ, რა ვქნა მე, ქართული ენა მოვიძულო, აღარ ვიყო მე ქართველი?

თუ გონივრულად მიუდგება ხელისუფალი ჩვენს ბედს, ეს არის ბრენდი, შექმნილი ბოჭორიშვილის მიერ. გონიერი ხელისუფალი ამას უფრო განავითარებდა და გადააქცევდა რეგიონულ სამედიცინო მომსახურების ბრენდად, სადაც თავს მოიყრიდნენ მძიმე ავადმყოფები თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, აფხაზეთიდან, ჩრდილო კავკასიიდან. ისედაც, აფხაზეთის ომის პერიოდში გადმოდიოდნენ სამკურნალოდ აფხაზეთიდან. პოლიტიკურადაც კი გამართლებული იქნება ასეთი ცენტრის არსებობა. მეტად დავუახლოვდებით აფხაზებს, ოსებს, ჩრდილო კავკასიას. ნახავთ მერე, რომ ეს მომგებიანი დარგია.



### **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲘᲕᲔᲠᲘ: "ᲑᲝᲦᲘᲨᲡ ᲕᲘᲮᲦᲘ!"**

3

ეკა ირემაშვილი

მსოფლიოში ცნობილმა ქართველმა საოპერო მომღერალმა თამარ ივერმა საჯაროდ ბოდიში მოიხადა და ორგანიზაცია "იდენტობასაც" ოფიციალურ მეილზე პირადი ელ-ფოსტიდან შეტყობინება მისწერა. წერილში მომღერალმა მოუბოდიშა ყველა იმ ადამიანს, ვისაც გული ატკინა თავისი წერილით, რომელიც მან თბილისში ლგბტ აქციის შემდეგ გამოაქვეყნა.

საუბარია წერილზე, რომელიც საოპერო მომღერალმა საქართველოში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით "ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე სტატუსად დაწერა. მის
სტატუსს ბევრი გამოხმაურება მოყვა. საზოგადოების ნაწილმა თამარ ივერს მხარი დაუჭირა
და სიმართლის თქმისთვის შეაქო, ნაწილმა კი
მომღერალს მოსაზრებები დაუწუნა და ის ჰომოფობიური გამოხტომისთვის გაკიცხა.
თამარ ივერის მიერ ამ სტატუსის გამოქ-

თამარ ივერის მიერ ამ სტატუსის გამოქვეყნებას ის მოყვა, რომ კონცერტი მისი მონაწილეობით, რომელიც პარიზში იყო დაგეგმილი, გადაიდო. საოპერო მომღერალმა სასწრაფოდ წაშალა თავისი სტატუსი "ფეისბუქიდან", თუმცა მისი დაკოპირება და აქტიური გავრცელება პრობლემა არ გამხდარა.

ორგანიზაცია "იდენტობამ" თამარ ივერის მიერ მიღებული საბოდიშო წერილი გაასაჯაროვა, რომელსაც "ახალი თაობა" უცვლელად გთა-

"გამარჯობათ, მსურს, გამოგეხმაუროთ თქვენი იმ წერილის გამო, რაც გამაცნეს აქ, საფრანგეთში. უპირველეს ყოვლისა, სურვილი მაქვს ჩემს ყბადაღებულ სტატუსზე გარკვეული ჩემეული კომენტარი გავაკეთო. უპირველესად ვიტყოდი იმ ფაქტს, რომ ვინც მე პირადად მიცნობს და ჩემთან ერთი დღეც კი უმუშავია, ყველამ იცის, რომ ვარ ადამიანი, ვინც პირველი იმაღლებს ხმას ნებისმიერ ძალადობაზე და ჩაგვრაზე. ვარ ასევე აქტიური ცხოველთა და ინვალიდთა უფლებების დამცველი საქართველოში. ასევე ჩემგან ძალიად მორს არის ყოველგვარი ჰომოფობიური, რადგან მაშინ საოპერო სამყაროში და საერთოდ, ხელოვნებაში არც კი ვიქნებოდი.

ჩემი მეგიებული 13 ხლიაზი კარიერის მახძილზე ვერც ერთი ჩემი ნაცნობი, კოლეგა, თეატრის დირექტორი, დირიჟორი თუ თუნდაც ჩემდამი უკიდურესად არაკეთილად განწყობილი ადამიანი ვერ იტყვის, რომ მე როდესმე რაიმე ჰომოფობიური გამოხდომა მქონია ან მსგავსი აზრი გამომიხატავს. განსხვავებული ორიენტაციის ადამიანები საოპერო სამყაროში, უკვე ათწლეულზე მეტია, ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან და ისინი ჩემდამი ასეთ იარლიყს ვერ იჯერებენ.

დავუბრუნდეთ სტატუსს, რომელმაც ასერეზონანსი გამოიწვია. მე ძალიან კარგად მახსოვს ის პერიოდი თუ რა დიდი დაძაბულობა და სტრესი ახლდა თან ამ ყოველივეს. იმ პერიოდში, დილიდან საღამომდე რეპეტიციები მქონდა და არ მქონდა საშუალება თვალი მედევნებინა მოვლენებისათვის ინტერნეტის საშუალებით. ვიფარგლებოდი მხოლოდ თეატრში მიღებული ახლობლების ზარებით. ვიღებდი ზარებს და ინფორმაციებს, თითქოს ეკლესიის ეზოში, სკოლის და მოსწავლე ბავშვების წინ "აპირებენ თეატრალიზებულ, კოსტუმირებულ გეი აღლუმს. შიშველი ბიჭებით, "საცურაო კოსტუმებით", მეუბნებოდნენ, რომ ისინი დამცინავად და გამომწვევად იქცევიან, "ეკლესია და ხალხი სასტიკი წინააღმდეგია, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც უშვებს და მფარველობს პრეზიდენტი", შემდგომ უკვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "ვეღარ შეძლეს აღლუმის ჩატარება, ბიჭებმა დაშალეს" და ა.შ.

ამას დაემატა ისიც, რომ ჩემი მეუღლე მაგ პერიოდში გლოვაში იყო, ავღანეთის იმ ავბედით ოპერაციაში მისი ერთ-ერთი უახლოესი მეგობრის დაღუპვით. ჩვენთვის ამ ფაქტმა ათმაგად უფრო დიდი აღშფოთება გამოიწვია და სტატუსი ინტერნეტ კაფეში, დაახლოებით 10 წუთში დაიწერა, აბსოლუტურად ერთი ამოსუნთქვით, ძალიან აღელვებულ და ემოციურ ფონზე. ალაათ, ეს ყოველივე იგრძნობა კიდეც მისი კითხვის დროს. სამწუხაროდ, ისტორიასაც აქვს ბევრი მაგალითები იმისა, რომ უეცარი აღელვების ნიაღაგზე სახელმწიფოებს ომებიც კი დაუწყიათ და სასიცოცხლო მნიშვნელობის გადაწყვეტილებები მიულიათ.

შემდგომ, როგორც გავიგე, სულ რაღაც 50-მდე ადამიანის მხრიდან მხოლოდ და მხოლოდ მდუმარე აქციის ჩატარების სურვილი ყოფილა. შემდგომ კი ვიხილე არა "ბიჭებმა დაშალეს", არამედ ის საშინელი რეალური დარბევის ვიდე-ოკადრებიც, რამაც საშინლად იმოქმედა ჩემზე. რა თქმა უნდა, სტატუსი წამსვე წავშალე, მაგრამ "კეთილისმსურველებმა" უკვე მოასწრეს მისი დაკოპირება და გავრცელება.

ასე რომ, მსურს სრული გულწრფელობით ვუთხრა ჩემს მომხრესაც და მოწინააღმდეგესაც, რომ არც ერთი წუთით, არავის გულის ტკენა, არავის შურაცხყოფა და, მით უმეტეს, ვინმეს მიმართ ზიზღი ან ფობია არ განმიზრახავს. ის სიტყვები, რაც ჩემდა უნებლიედ, ემოციურ ფონზე, აქციის გამართვიდან რამდენიმე წუთში დავწერე, იყო იმ შთაბეჭდილებებითა და მონათხრობით განპირობებული, რაც ახლობლებმა თბილისიდან მომაწოდეს. კადრების ნახვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც საზოგადოების რეაქციას დავუკ

ირდი და მეტი შევიტყვე რეალურად რაც მოხდა, ბუნებრივია, ვინანე ჩემ მიერ დაწერილი სიტყვები. მე ისინი ჩემი ემოციითა და განზრახვით მხოლოდ ქვეყნის სასიკეთოდ მქონდა გამიზნული. იმავე ფრაზების წაკითხვისას, ბუნებრივია, თავადვე ერთბაშად მიჩნდება სინდისის ქენჯნა, რადგან ჩემი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში სულ ძალადობას, ყოველგვარი ფორმით ადამიანის უფლებათა შელახვას ვეწინააღმდეგები და ლიყით, რომელიც ადამიანთა ერთი კატეგორიის მიმართ ზიზღის პროპაგანდაშია დადანაშაულებული. ალბათ ყველას კარგად გესმით, რა შოკი შეიძლება იყოს ჩემთვის, რა განწყობას შემიქმნიდა ერთბაშად ამდენი მოზღვავებული ზიზღის წერილები, სატელეფონო ზარები, მუქარები, და-

როგორც ჩანს, ვერ მოვზომე და ავჩქარდი და ფაქტობრივად დავწერე ის, რაც ცოტა ხნის წინ სატელეფონო საუბრებში ახლობლებისგან მოვისმინე, მოგვიანებით კი თავადვე მიუღებელი მომეჩვენა ჩემივე ტექსტის რიგი ფრაზები.

არ ვიცი, რამდენად უშველის ამოდენა წყენის გაქარწყლებას ჩემი სინანული, ან რამდენად დააშოშმინებს აზვირთებულ ბრაზს ჩემი წუხილი, მაგრამ მსურს, მართლაც, ადამიანური გულწრფელობით პატიება ვთხოვო ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჩემმა წერილმა უნებლიეთ ტკივილი მიაყენა, ან ღირსება შელახულად აგრძნობინა თავი, ან უბრალოდ აღაშფოთა არაკორექტულობისა და მისთვის მიუღებელი მოსაზრებების გამო.

იქნებ არც ბოდიში მომეხადა სხვა დროს, მაგრამ ამჯერად, ნამდვილად ვთვლი, რომ ჩემს სულიერ მდგომარეობაში, ერთი მხრივ, ჩემი სინანული საკუთარი სინდისის წინაშე საუკეთესო კათარზისი იქნება, მეორე მხრივ კი, ძალიან მინდა ყველა იმ აღშფოთებულმა ადამიანმა იცოდეს, რომ არათუ არ მეზიზღება, არამედ ყველა მათგანი მიყვარს და მეძვირფასება. ჩემი ქვეყნის ყველა შვილი, ყველა მოქალაქე და ადამიანი საყვარელი და დასაფასებელია ჩემთვის. ვერ ვეგუები იმის წარმოდგენას, რომ ადამიანთა დიდ ჯგუფს კაცთმოძულე, ჰომოფობი და საშიშად მოაზროვნე ადამიანი ვგონივარ. არასოდეს მეგონა, თუ ასეთად შეიძლებოდა ვინმეს დავენახე. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ შევძლებ მათი ნდობის აღდგენას, ვინც გვერდით გამიდგა და უნდობლობით გაციებული მზერით, მტრულად მიყურებს.

მადლობა ყველას ჩემი გაგების, თანადგომისა და თანაგრძნობისთვის. ახლა მხოლოდ ის მინდა, რომ გავაგრძელო ჩემი საქმე, გარდა 1-2 ამხსნელობითი გამონაკლისისა, არ ვაკეთებ არანაირ ტელე-რადიო-პრესის კომენტარებს, სიუჟეტებს და ინტერვიუებს. მიუხედავად იმისა, რომ დღეში ათასი სკანდალს მოწყურებული ჟურნალისტი მიტოვებს შეტყობინებას და ინტერვიუს მთხოვს. მსურს მხოლოდ სიმშვიდე და სიმღერა, რაც ჩემი სიცოცხლისა და არსებობის მთავარი არტერიაა, და გავაგრძელო ის ყოველგვარი პოლიტიკისა და დებატებისგან რაც შეიძლება

ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ ივერს მადლობა გადაუხადა მტკივნეული და გაბედული ნაბიჯისათვის, რომლის გადადგმაც მისთვის ადვილი ალბათ არ იქნებოდა.

"ამ ეტაპზე მივიჩნევთ, რომ ინციდენტი ამოწურულია. ჩვენ გულწრფელად მივიღეთ თამარ ივერის ბოდიში და ვიმედოვნებთ, მომავალში ქართული კულტურის არც ერთი მოღვაწე არ გახდება ჰომოფობიურ სკანდალში გახვეული", — მიაჩნიათ ორგანიზაციაში.

თამარ ივერის მიმართ აგრესია და გაბრაზება კი იმ წერილმა გამოიწვია, რომელიც საოპერო მომღერალმა სოციალურ ქსელში მას შემდეგ გაავრცელა, რაც საქართველოში 17 მაისს განვითარებულ მოვლენებზე ინფორმაცია ახლობლებისგან შეიტყო. თამარ ივერმა "ფეისბუქში" საკუთარ გვერდზე ამ პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების შეფასება სცადა და გამოაქვეყნა კიდეც წერილი სახელწოდებით:
"გამაოგნა გუშინ პრეზიდენტის ცალსახა, შავთეთრმა განცხადებამ".

"ახალი თაობა" ამ წერილსაც უცვლელად გთავაზობთ:

"გამაოგნა გუშინ პრეზიდენტის ცალსახა, შავ-თეთრმა განცხადებამ, არიქა, თავი მოგვეჭრა, ევროპა და მსოფლიო ჩვენზე რას იფიქრებს, წლების მანძილზე ძლივს მივაღწიეთ ევროპის ოჯახში გაერთიანება"-ო. ბატონო პრეზიდენტო, გასაგებია, რომ წლების მანძილზე დასავლეთის, განურჩევლად მისი კარგის თუ ცუდის, გუნდრუკის კმევით არ იღლებოდით და არც ახლა იღლებით, მაგრამ პირადად მე, ადამიანი, რომელიც ყველანაირ ძალადობას ვგმობ, ბევრი გეი მეგობრები თუ ახლობლებიც მყავს... გუშინ, აბსოლუტურად ამაყი ვიყავი იმ ფაქტით თუ რა გვარიანად შეაფურთხა ქართულმა საზოგადოებამ გუშინდელ თქვენი (და არა მხოლოდ თქვენი) გუნდის ხელშეწყობით გამართულ აქციას. აპატიეთ ერს, რადგან აქციის ორგანიზატორებს ამჯერადაც კოვზი არა ნაცარში, არამედ... სოფლის ტუალეტების ფსკერზე რომ მასაა, იმაში ჩაუვარდათ. თუ ვინმე თქვენს მიერ უცხოეთში "შებმულ" ფრენკს ან ჯონს "მაყუთის" და ინვესტიციის ჩადება სურს საქართველოში... კი ბატონო, ჩადოს.



თავადაც იხეირებს და ჩვენს ქვეყანასაც ახეიროს, მაგრამ ერთს გთხოვთ... გამალებული ნუ ეწევით საქართველოს ხალხის მენტალიტეტში დასავლეთის "ფეკალური მასების" შემოტანაპროპაგანდას. ნუ გსურთ ეს მასა ლამაზ პაკეტში შეფუთოთ, შანელის სუნამო მოაპკუროთ და ხალხს იგი სამკურნალო, გამაჯანსაღებელ ტალახად წარმოუჩინოთ. რაც არ უნდა ეწყინოს "მეგობარ დასავლეთს", საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა გენიალურად იცის, რა ხილი ჭამოს დასავლეთის მიერ შეთავაზებული მენიუდან და რა არა. ისევე, როგორც ამას ჩემი პატარა ძაღლი ხვდება.

რას იზამთ, ასეთი უზრდელი და მოძალა დეა ქართველი ერი, რომელსაც თქვენსავით მიკროფონიანი ტრიბუნის აქეთ-იქეთ გორიალი, გრძელი სიტყვები და "ძიპლამაწიჩნი" საუბარი არ ეხერხება. რა ამბავიც არ მოსწონს... იმ ამბავს მოკლედ და კონკრეტულად "ყბაში ადებს"!!!! ხშირად კი, სწორედ რაღაც მოვლენებისადმი "ყბაში მოდებაა" საჭირო, რომ მომავალში, როგორც ერი, უფრო დაფასდე და ანგარიში გაგიწიონ. დღეს კიდევ, ბატონმა ამერიკის ელჩმა განაცხადა, ვინც გუშინ აქციას არბევდა, ის ხალხი ნატოს წინააღმდეგიაო. არა, ბატონო ელჩო: გუშინ ვინც აქციას არბევდა, ის ჯერ კიდევ თქვენგან გაურ-ყვნელი "სუფთა სისხლის" ქართველი ახალგაზრდები იყვნენ. არ დამავიწყდება აკანკალებული ახალგაზრდა ბიჭი, რომელმაც ტელეკამერაში განაცხადა, "ხალხნო, 50 კაცისთვის ათიათასი კაცი გამოვედით ქუჩაში, რადგან სახლში 5 წლის ბიჭი მეზრდება და მისი გონების შებილწვას არა-ვის შევარჩენო". ჩემის მხრიდან კი გეტყოდით, ბატონო ელჩო, რომ მიმიფურთხებია იმ თქვენი ნატოსთვის, ვინც მაიძულებს, ჯერ ამ ყოველივეს შეეგუე, ნება დართე, გააპიარე და მერე მიგიღებ-თო. ასეთი შეიძლება 20, 30 და თუნდაც 100 კაცი გამოერიოს თქვენდა საამებლად, მაგრამ მთელ ერს ამ გზით ნატოში მისაღებად ვერ წაკ...ზავთ!!! საქართველო ნატომდეც და, საერთოდ, ამერიკის სახელმწიფოს შექმნამდეც, ბევრი საუკუნით ადრეც მშვენივრად არსებობდა.

რას ვიზამთ, ბატონო პრეზიდენტო, ასეთი უზრდელი და ყბაში მომდები ახალგაზრდობა რომ გყავთ. ალბათ, სწორედ იმიტომ ვართ ასეთი უძლიერესები რაგბიში, ძიუდოში, ჭიდაობაში, სამშობლოს დაცვაში და ყოველივე კაცურში, რითიც ასე ამაყობთ ხოლმე.

ქართველი კაცი ოდითგანვე ვაჟკაცობის სიმბოლო იყო და მისი განუყრელი ატრიბუტი ჩოხა და ხმალ-ხანჯალი იყო და თუ ეს ყოველივე გრძნობა ჩაკალით მათში... მაშინ რისი მიღწევა გსურთ? ირაკლის, გიორგის, ზურაბის ნაცვლად... თბილისი სამომავლოდ, ლუი ვუიტონის ჩანთებგადაკიდებულ, დოლჩე და გაბანას ფეხსაცმლიან, კრისტიან აუდიჟეს მაიკებიან, მანიკურებიან და ლორეალის გელით ვარცხნილობადაყენებულ იკაკო, გიკაკო, ზუკაკოებს დავუთმოთ? და ამ ხალხის მასების გაზრდით და ხელშეწყობით აპირებთ მომავალში ჯარის გამაგრებას, ავღანეთის სამშვიდობო ჯარებში გაგზავნას და სხვა თუ არაფერი, სოხუმის და ცხინვალის დაბრუნებას? ამ კატეგორიის ბიჭუნებს სოხუმისთვის ბრძოლას სან ტროპეში და ნიცის პლაჟებზე დასვენება რომ ურჩევნიათ, ეგეც კარგად იცით.

ასეთი აქციების თქვენს და თქვენი გუნდის მიერ კბილით დაცვას, არ ჯობია, ისეთი აღლუმები და ღონისძიებები მოიფიქროთ, რაც ხალხს პირიქით განტვირთავს და განწმენდს? ევროპისგან რაღაც კარგი გადმოიტანეთ, თქვე დალოც-ვილებო, მაგალითად, ჯანმრთელობის დღე, სადაც მოეწყობა ხალხის რბოლა-მარათონი, გადაიკეტება მთელი რუსთაველი და თავისუფლების მოედანი და დახლებზე გაიყიდება მხოლოდ ჯანსალი საკვები და სპორტული ინვენტარი. ბავშვთა დღე, სადაც ასევე გამოტანილი იქნება დახლებზე უამრავი სათამაშო, საჭმელები სანახაობები, ატრაქციონები... ბავშვთა გასართობად მოარული მიკი მაუსის თუ სხვათა დიდი თოჯინები, ღია საბავშვო სპექტაკლები. თეატრში მოეწყოს გრანდიოზული ოპერნბოლები როგორებიც არის

ევროპაში, სადაც ხალხი მთელი წელიწადი ემზა დება და ულამაზეს გრძელ საღამოს კაბებს ყიდუ ლობენ, მამაკაცები კი სმოკინგებს და ფრაკებს, რომ ოპერის თეატრში ამ გრანდიოზულ ღონისძიებაზე შტრაუსის ვალსების და გალა კონცერტის თანხლებით... ცხენების ეტლებით, წითელი ხალიჩით შებრძანდნენ თეატრში და დატკბნენ ცეკვით, კონცერტით, ერთმანეთის ნახვით, ბუფეტით. ასევე შესანიშნავი იქნებოდა, წელიწადში ერთხელ "რეტრო დღე", სადაც ყველა, ქალაქის გადაკეტილ ცენტრში ქართული ჩოხებით და ქართული კაბებით ივლიდა, იქნებოდნენ ყარაჩოხელები, კინტოები, რეტრო სუფრები, ცხენები, ეტ-ლები, ტელევიზიით მხოლოდ ძველი ისტორიული გადაცემები, რომ რაღაცით ხალხს და ახალგაზრდობას ერთი დღით, აი, იმ ილიას და აკაკის ეპოქაში გვეგრძნო თავი. ასევე ცხოველთა გამოფენები, შეჯიბრებები, ატრაქციონები. შეიძლება ວັງຊັກດໄທຊຸດປ້ უკვე ປັກლელურ ოცნებებში გადავედი, მაგრამ, მოდით რა, ეგ მილიონები ხალხის ცხოვრების გასამრავალფეროვნებლად და მათი უბადრუკი ცხოვრების ოდნავ მაინც გასალამაზებლად დახარჯეთ და არა მხოლოდ რაღაც პეპელასავით 2-დღიან და მერე მტვერში ჩაგდებულ პროექტებზე ან ასეთი აქციების ხელშეწყობაზე. მაგრამ... კეთილი პროექტი ხალხს აერთიანებს და, რა တქმა უნდა, უფრო სარფიანია რაღაც ისეთი ინტრიგა, რაც ხალხს ააწრიალებს და აგ-რესიას შობს. ჩემს გეი მეგობრებს საქართველოში ჩემგანაც და ხალხისგანაც სრული კომფორტი აქვთ. მათ არავინ არ ზღუდავთ, უფრო მეტიც, ბევრად უფრო დახვეწილი, რაფინირებული გემოვნება და ხასიათი და მანერები აქვთ, ვიდრე ქართველ ბიჭებს, მაგრამ... ეს ყოველივე ხომ მაინც სექსუალური გადახრაა და ძალიან ღრმა და დიდი ისტორიის მართლმადიდებლურ საქართველოში, მას არ სჭირდება პარადები, ფეიერვერკები, ბუშტები, აგიტაცია-პროპაგანდა და ძახილი, რომ რა მაგარი, უფრო მეტად ცივილიზებული, გამოსული ქუულ ხალხი ვართო. ეს ყოველივე ბავშვების ფაქიზ ბუნებაზე დამანგრევ-ლად მოქმედებს, მით უმეტეს, რომ სამედიცინო თვალსაზრისით გეი-დ 50 ადამიანიდან დიდი დიდი 3 იბადება, დანარჩენებს იგი სწორედ მოდის აყოლის და რაღაც გარკვეულ ასეთ წრეში შესვლის შემდეგ უბრალოდ შეძენილი აქვს. კიდევ ერთხელ ძალიან დიდი გულისტკი-

ვილით აღვნიშნავ იმას, რაც მოხდა. რა თქმა უნდა, ძალადობას გამართლება არ აქვს. მამაოების ადგილიც, ვფიქრობ, რომ უფრო ეკლესიაშია, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ სიმსივნის მეტასტაზები ჩანასახშივე უნდა მოიკვეთოს და მედიცინაში ამისათვის ყველა ხერხი მიღებულია. თუ დღეს დახუჭავ თვალს... ხვალ ერთსქესიან ქორწინებას მოითხოვენ, ზეგ ბავშვების აყვანას და ნამდვილად არ მსურს საქართველო, სადაც მუდამ ასე მომიხარია, ამსტერდამის კვარტალებს დაემსგავსოს. ბატონო პრეზიდენტო, თავადაც ორი ბიჭის მამა ბრძანდებით და ალბათ სურვილი გაქვთ, შვილებმა კაცურად გასახელონ ცხოვრებაში (ანდა, მაპატიეთ, მაგრამ ვინ უწყის, იქნებ იმდენჯერ გაქვთ ოჯახთან ერთად მოვლილი ჰოლანდიის და ამსტერდამის წითელი კვარტალები, რომ ვაჟების ნებისმიერი "გადახრილი" გა დაწყვეტილება სრული ტოლერანტული სიმშვიდითაც მიიღოთ). თქვენი ოჯახი, რა თქმა უნდა, თქვენი ციხესიმაგრეა, მაგრამ ქართული, ტრადიციული ოჯახები ასე არ ფიქრობენ და ძალიან გთხოვთ, ქართველი ხალხის მენტალიტეტს ნუ აზიანებთ და "სუფის ჩამჩით" თქვენ და თქვენი თანამოაზრეები ნუ ატენით ხალხს პირში დასავლეთიდან წამოსულ ფეკალიებს. მიაღწია მავანმა საწადელს. 50 აწივლებული მოაღლუმესათვის უკვე ხალხი არაადეკვატურად იწერება ამ საიტზე "აღარ მინდა მართლმადიდებლობა", "მაგ მამაოებთან აღარ შევალ ტაძარში", "საერთოდ, კათოლიციზმი უნდა მივიღო" და ასეთი განცხადებები. კი, მავანმა მიაღწია საწადელს, მე კი იმ ქართველისა რა ვთქვი, ვინც 50 შეკრებილი, თუნდაც დარბეული მოაღლუმესათვის რომ თავის რელიგიას დაუპირისპირდება. ეგეთი სულით მერყევი ადამიანების ადგილი მართლა არ უნდა იყოს მართლმადიდებლურ სამყაროში. ყველამ მაპატიოს თუ სტატუსი ზედმეტად "თავხედური და ხმამაღლა ნათქვამი" გამომივიდა. სადაც საჭიროა, დიპლომატიურ საუბარსაც ვერავინ მასწავლის. ჩემს სტატუსს კი, ვინც ჩემზე გაბრაზდა... დიდი ილიას ლექსით დავასრულებ: " ჩემზედ ამბობენ, ის სიავეს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს — ეს ხომ ცხადი სიძულვილია! ბრიყვნი ამბობენ; კარგი გული კი მაშინვე იგ-რძნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!" პატივისცემით თამარ ივერი".

ცნობილია, რომ ამ წერილის გამოქვეყნების შემდეგ, თამარ ივერის დაგეგმილი კონცერტი გადაიდო. მალევე გამოჩნდა საბოდიშო წერილი, სადაც ქართველი საოპერო მომღერალი ამ წერილის დაწერის გადაწყვეტილებას აჩქარებით ხსნიდა და ბოდიშიც მოიხადა. თამარ ივერის საბოდიშო წერილის გამოქვეყნებას თამარ ჩერგოლეიშვილი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ თამარ ივერმა ბოდიში იმიტომ მოიხადა, რომ მისი კარიერა საფრთხეშია. ეს განცხადება გიგა ბოკერიას მეუღლემ სოციალურ ქსელში "ფეისბუქი" გამოაქვეყნა.

"თამარ ივერი ბოდიშს იხდის არა იმიტომ, რომ სინანულს გრძნობს, არამედ იმიტომ, რომ მისი კარიერა საფრთხეშია. ივერის მაგალითი კარგი გაკვეთილია მათთვის, ვინც არ იცის, რომ ცივილიზებულ ქვეყნებში მომავალი ესპობა მას, ვინც ქალბატონი ივერის მსგავსად აზროვნებს და საუბრობს".



## "ጠታሉጠቦ ያስታጋይንቦ" ጋበፎንፎጠ ሀቦያጠሉበን

"ოქროს ბიჭუნას" უიღბლო საფეხბურთო ისტორია 19 მაისს დასრულდა და სწორედ ამ დღეს გამოემშვიდობა ორი საუკეთესო მეგობარი თავის საფეხბურთო კარიერას, თუმცა სხვადასხვა გუნების მაისურით. ჯემიე კარაგერისა და მაიკლ ოუენის მეგობრობა "ლივერპულში" დაიწყო და დღემდე გრძელდება. კარაგერმა თავის მშობლიურ გუნდს უერთგულა, ოუენმა კი

დიდი და რთული გზა განვლო კარიერის დასრულებამდე. გადავხედოთ "ოქროს ბიჭუნას" უიღბლო საფეხბურთო ისტორიას.

მაიკლ ჯეიმს ოუენი ინგლისის განაპირა ქალაქ ჩესტერში დაიბადა და იქვე გაატარა ბავშვობა.

— ფიზიკურად ყოველთვის პატარა ვიყავი, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძალიან მოვეწონე "მანჩესტერის", "არსენალისა" და "ლივერპულის" წარმომადგენლებს. არ ვიცი, მაშინ ჩემში რა დაინახეს ასეთი. არჩევანი "წითლებზე" შევაჩერე და სწორადაც მოფიტეცი, თან ჩესტერიდან, სადაც მე დავიბადე, ლივერპული ახლოს იყო. ბავშვობიდან "ბიტლზებზე" ვგიჟდები და სხვაგან სად უნდა წავსულიყავი? — დაწერა მაიკლმა თავის ბლოგზე.

ოუენი მალე ასაკობრივ გუნდში დააწინაურეს და 16 წლის ასაკში მან პირველი დიდი ოცნების ასრულება შეძლო — 3 გოლი გაუტანა "მანჩესტერ იუნაიტედს".

— პასს ყველა მე მაძლევდა და მეც დავძვრებოდი მცველებს შორის, სისხლს ვუშრობდი
მათ და მეკარეებსაც ადვილად ვატყუებდი. გოლის გატანა ჩემთვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ფინალში "ვესტ ჰემს" ვეთამაშეთ, მაგრამ
პირველი მატჩი ინგლისის ნაკრებში თამაშის გამო გამოვტოვე. იმ დროს "ჩაქუჩებში" მომავალი
ჩემი მეგობრები, ფრენკ ლამპარდი და რიო ფერდინანდი თამაშობდნენ, რომლებსაც განმეორებით მატჩში ჩემებური გაკვეთილი ჩავუტარე და
"ლივერპულმაც", ისტორიაში პირველად მოიგო
ინგლისის ახალგაზრდული თასი. მე და სტივ ჯი
ნეტავ შემეძლოს იმ წუთების დაბრუნება, — იხსე-

1997 წელს, 17 წლის მაიკლ ოუენს "ლივერპულმა" ოფიციალური კონტრაქტი გაუფორმა და ამის შემდეგ მალევე ის გახდა ინგლისის ერთერთი საუკეთესო ახალგაზრდა, პერსპექტიული ფეხბურთელი უნიკალური მონაცემებითა და გოლის საოცარი ალღოთი

1998 წელს საფრანგეთში მსოფლიო ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში გამოჩნდა ახალგაზრდა ოუენი, რომელმაც დაუვიწყარი, ბრწყინვალე გოლი გაუტანა არგენტინას და სამუდამოდ დაამახსოვრა თავი მსოფლიოს. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ოუენი 1997-98 წლების სეზონის საუკეთესო ახალგაზ-



რდა ფეხბურთელად დაასახელა, 1998 წელს მიილო ბი-ბი-სი სპორტის წლის საუკეთესო ფეხბურთელი ჯილდო. თუმცა, ჯერ კიდევ მაშინვე, წარმატებებთან და სწრაფ წინსვლასთან ერთად, უიღბლობაც დაერთო მის კარიერას.

1999-2000 წლების სეზონი თითქმის მთლიანად გაუცდა ტრავმების გამო, თუმცა 2001 წელს მისი დაბრუნება ნამდვილი ტრიუმფი იყო.

ინგლისის ფეხზურთის ასოციაციის თასის ფინალში "არსენალის" წინააღმდეგ გატანილ ორ გოლსა და უეფას თასის ფინალში მიღებულ ოქ-როს მედალს თან დაერთო გერმანიის ნაკრების კარში გატანილი ჰეთ-ტრიკი, მსოფლიო ჩემპიო-ნატის საკვალიფიკაციო მატჩზე, სადაც ინგლის-მა 5:1 გაიმარჯვა. მაიკლ ოუენი 2001 წლის ევრო-პის საუკეთესო ფეხბურთელის ჯილდოს — "ოქ-როს ბურთის" მფლობელი გახდა.

– უკვე ზღაპარში ვიყავი – "ოქროს ბურთი" გადმომცეს, რასაც ნამდვილად არ ველოდი. იმ დროს ზინედინ ზიდანი, ლუი შ ფიგუ და რაული ბრწყინავდნენ. უკვე სტენლი მეთიუზის, სერ ბო-ბი ჩარლტონისა და კევინ კიგანის გვერდით ვი-დექი, რადგან ინგლისელთაგან მხოლოდ ჩვენ მი-ვიღეთ "ოქროს ბურთი" — გახარებული იყო ახალ-გაზრდა ფეხბურთელი.

ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევების გარდა, ოუენი არის ერთადერთი ინგლისელი ფეხბურთე-

ლი, რომელმაც შეძლო 1998, 2000, 2002 და 2004 წლებში, მიყოლებით ოთხ ტურნირზე შეძლო ეროვნული ნაკრების მაისურით გოლის გატანა. მის წარმატებულ კარიერას

მხოლოდ ტიტულებილა აკლდა — მსოფლიო და ევროპის ჩემპიონის და ჩემპიონია ლიგის გამარჯვებულის. ამ უკანასკნელი ტიტულის მოგება "ლივერპულთან" ერთად შეეძლო კიდეც, რადგან კონტრაქტი 2005 წელს ეწურებოდა... თუმცა ერთი წლით ადრე, 2004 წელს ის მადრიდის "რეალის" საკუთრება გახდა.

ოუენს ერთი სეზონისთვის მეტად შთამბეჭდავი გოლები გაჰქონდა, თითქმის ყოველთვის, როცა ამის საშუალება მიეცემოდა. თუმცა, იმ პერიოდის "რეალში" ფეხის მოკიდება და ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრება ვერ მოახერხა. მალევე, 2005 წლის აგვისტოში, ის "ნიუკასლს" შეუერთდა.

მისი "ნიუკასლში" ყოფნის პერიოდს დაემთხვა ის საშინელი დღე ოუენის ცხოვრებაში, როდესაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, შვედეთთან მატჩის დროს კოჭის მძიმე ტრავმა მიიღო და წელინად-ნახევრის განმავლობაში გამოემშვიდობა თამაშს. თავდაპირველად ექიმები ზუსტად ვერც იძლეოდნენ იმის გარანტიას, რომ კიდევ შეძლებდა თამაშს. ამის მიუხედავად, მან შეძლო და უიღბლობის პერიოდის თავშესაფრის, "ნიუკასლის" შემადგენლობაში 71 თამაშში 30 გოლი გაიტანა.

2009 წელს მაიკლ ოუენს კონტრაქტი ამოეწურა და თავისუფალი აგენტი გახდა. გულშემატკივართა ნაწილის მოთხოვნის მიუხედავად, რაფა ბენიტესმა მასზე არჩევანი არ შეაჩერა და ოუენი "მანჩესტერში" აღმოჩნდა. ეს იყო ის ცუდი გადაწყვეტილება, რომლითაც მან დაკარგა გულშემატკივართა დიდი ნაწილი ლივერპულიდან.

პირველი სეზონი "ოლდ ტრაფორდზე" წარმატებული აღმოჩნდა ოუენისთვის. "სიტისთან" მეტად დრამატულ დერბიში გამარჯვების გოლი სწორედ მან გაიტანა (4:3), ასევე დასამახ-სოვრებელი იყო მისი "ვოლფსბურგის" წინააღმდეგ შესრულებული ჰეთ-ტრიკი ჩემპიონთა ლიგაზე, თუმცა უკვე ვეტერანი ოუენი იშვიათად ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში და 2011 წელს მანჩესტერელებმა კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა.

"ოქროს ბიჭუნა" კარიერას "სტოკ სიტის" მაისურით დაემშვიდობა. ფენომენალური ნიჭის მქონე ფეხბურთელმა ჯერ კიდევ თინეიჯერობა-ში შეძლო ის, რასაც სხვები მთელი კარიერის განმავლობაში აგროვებენ. "ლივერპულის" ყველა დროის საუკეთესო მეგოლეების ხუთეულშია 306 თამაშში 179 გატანილი გოლი; გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ სამი გოლი აქვს გატანილი ერთ თამაშში, ერთადერთი ინგლისელი ფეხბურთელია, რომელმაც ზედიზედ 4 საერთაშორისო ტურნირზე გოლები გაიტანა; მცირე დროში მაშინ "გალაკტიკოდ" წოდებულ მადრიდის "რეალშიც" დატოვა სიტყვა – 43 თამაშში 19 გოლი. ისევ გამოცოცხლება "ნიუკასლში" და ადამიანური კრახი – "ლივერპულის" აღზრდილი "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი გახდა და ბოლოს "სტოკ სიტი", 5 თამაშში გატანილი ერთადერთი გოლი. ალბათ, უნდა მოახერხო ადამიანმა, რომ ასე უიღბლოდ დაასრულო "ზღაპრულად" დაწყებული კარიერა.

დღეს მაიკლ ოუენი ინგლისში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ფეხბურთელია, რამდენიმე მილიონ ფუნტად შეფასებული ცხენების ფერმით. მის "ტვიტერზე" ხშირად შეხვდებით იშვიათი და ძვირადღირებული ცხენების ფოტოებს.

—ჩემი ძირითადი საზრუნავი და ვნება ცხოვრებაში ოჯახი და ფეხბურთია, თუმცა არსებობს მესამეც, ერთგვარი ჰობი. ესაა ცხენის ყიდვა ჯერ კიდევ პატარა ასაკში, მისი გაზრდა და პირველი ჯირითით დატკბობა, — წერს თავის "ტვიტერზე" მაიკლი.

ოჯახს რაც შეეხება, ჰყავს მეუღლე — ლუიზი, რომელიც ბავშვობიდან მისი რჩეულია, ერთი ვაჟიშვილი — ჯეიმსი და 3 ქალიშვილი — ჰემა, ემილი და ჯესიკა. მაიკლი მზრუნველი მამა და მეუღლეა. ახლა გაცილებით მეტი დროის დათმობას სწორედ ოჯახისა და მათი ცხენებისთვის აპირებს. ფეხბურთს მთლიანად არ ჩამოშორდება, რა თქმა უნდა, შესაძლოა, მალე საფეხბურთო მიმომხილველად და წამყვანად მოგვევლინოს ბიბი-სი სპორტის ეთერში — როგორც მოწვეული სტუმარი, ის ხშირად მონაწილეობდა ამ არხის სპორტულ გადაცემებში.

### 3340 3373 - 3337343 53433833770 334033770 33487403770

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ჩემპიონთა ლიგის ფინალში "იუვენტუსის" წინააღმდეგ კალაძემ, უბრალოდ, გასაოცრად ითამაშა, მეტოქეს საშუალებას არ აძლევდა, კარს მიახლოებოდა. ვერც ძირითად დროში და ვერც დამატებით დროში მოწინააღმდეგეებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს და საქმე თერთმეტმეტრიან დარტყმებამდე მივიდა, სადაც ფორტუნამ "როსონერის" გაუმართლა — 3:0. ქართველი მცველი პირველი და ჯერჯერობით უკანასაცნოი ფეხბურთელია საქართველოში, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის თასი აქვს მოპოვებული ძირითადში მას ადგილი უკვე გარანტირებული იყო და ხელსაც ვერავინ შეახებდა. მიღწეული წარმატების გამო საქართველოს ფოსტამ კალაძის გამოსახულებით სპეციალური მარკაც კი გამოუშვა.

2003-04 წლების სეზონი კახაბერისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა. ქართველმა მძიმე ტრავმა მიიღო და მის მოშუშებას 5 თვე მოუნდა. როდესაც ბოლომდე შეძლო გამოჯანმრთელება, იტალიელმა სპეციალისტმა მაინც ვერ გარისკა მისი ძირითადში დაყენება. არც არის გასაკვირი, რადგან ახალი საუკუნის დადგომის შემდეგ კლუბი პირველად იგებდა ქვეყნის ჩემპიონატს. კალაძეს კი ხან საავადმყოფოში, ხან სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ყოფნა, რაც აუტანელი იყო ქართველისთვის. საერთოში კი კახი სერია ა-ს გათამაშებაში 6-ჯერ გავიდა მოედაზე, 3-ჯერ ქვეყნის თასზე, სადაც "მილანი" ნახევარფინალამდე გავიდა. გარდა ამისა, ფეხბურთელმა მონაწილეობა მიიღო იტალიის სუპერთასისა და ევროპის სუპერთასის გათამაშებაში და ერთხელ ჩემპიონთა ლიგის მატჩში. მიუხედავად ამისა, მისით სეუ ჟოზე დაინტერესდა, რომელიც მაშინ

ლონდონის "ჩელსის" ედგა სათავეში.
 კახა პირადად შეხვდა კლუბის მფლობელ რომან აბრამოვიჩს. მოლაპარაკებების მიმდინა-რეობისას კონტრაქტის თითქმის ყველა ნიუანსი უკვე მოგვარებული და შეთანხმებული იყო. რამდენიმე დღის შემდეგ კი ინგლისური კლუბიდან დაურეკეს ქართველს და უთხრეს, რომ მისი ადგილი სხვა მოთამაშემ დაიკავა. იტალიური კლუბი კი მადლიერი დარჩა ლონდონური მხარის გადაწყვეტილებით, რადგან ფეხბურთელი აღარწაიყვანეს.

2004-05 წლების სეზონში კახი იშვიათად, მაგრამ მაინც გამოჩნდებოდა ხოლმე მწვანე გაზონზე, მის ადგილზე კი ანჩელოტიმ ვეტერანი პაოლო მალდინი დააყენა. ქართველმა ფეხბურთელმა საბოლოოდ დაკარგა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. სეზონის განმავლობაში სე

რია ა-ში 19 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 2 გოლი გაიტანა, 2-ჯერ გავიდა მოედანზე ქვეყნის თასზე და 5-ჯერ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში. საბოლოოდ კი "მილანმა" ვერ შეძლო, მეორედ დაუფლებოდა ლიგას და ვიცეჩემპიონობას დასჯერდა. "ლივერპულმა" დიდებული "ქამბექი" შესთავაზა გულშემატკივარს და გამარჯვებულის ბედი საფეხბურთო ლატარიამ გადაწყვიტა. მატჩის ძირითადი დრო 3:3 დასრულდა, დამატებით დროში კი გუნდებმა ვერ შეძლეს გოლის გატანა და "მილანი" პენალტების სერიაში 3:2 დამარცხდა. ქვეყნის ჩემპიონატში კი მეორე ადგილი დაიკავეს. 2005 წელს კი ერთადერთი კარგი, რაც კალაძის ცხოვრებაში მოხდა, ახალი 5-წლიანი კონტრაქტი იყო.

2005-06 წლების სეზონში პაოლო მალდინიმ ცენტრისკენ გადაინაცვლა და კალაძეს სულ უფრო და უფრო ხშირად ეძლეოდა მოედანზე გასვლის შანსი. საბოლოოდ კი სერია ა-ში მონანილეობა 28 შეხვედრაში მიიღო, ქვეყნის თასზე — 4 მატჩში და 11-ჯერ ითამაშა ჩემპიონთა ლიგაზე. "მილანისთვის" კი სეზონი მესამე ადგილით დასრულდა სერია ა-ში, ქვეყნის თასზე მეოთხედფინალამდე გააღწია, ევროარენაზე კი ნახევარფინალურ ეტაპამდე მივიდა.

ქვეყნის ჩემპიონატი 2006-07 წლების სეზონში კლუბისთვისაც და თავად ქართველისთვისაც წარუმატებელი გამოდგა. კალაძე მხოლოდ 12-ჯერ გავიდა მოედანზე და ერთხელ შეძის გატანა. საბოლოოდ კი კლუბმა ჩემპიონატი მე-6 ადგილით დაასრულა და მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩართვის არანაირი პერსპექტივა აღარ ჰქონდა დარჩენილი, თუმცა კლუბს ქვეყნის თასსა და ევროარენაზე საქმე შედარებით კარგად ჰქონდა. ქვეყნის თასზე კახამ მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ჩემპიონთა ლიგაზე კი — **5-**ჯერ, მაგრამ ქართველმა თანაგუნდელებთან ერთად მეორედ შეძლო, ლიგის თასს დაუფლებოდა. 2007 წლის 23 მაისს ათენის "ოლიმპიურ" სტადიონზე "როსონერმა" რევანში აიღო და "ლივერპული" ძირითად დროში 2:1 დაამარცხა. კალაძე ფინალურ მატჩში შეცვლაზე მე-80 წუთზე შევიდა და რამდენჯერმე ჩაშალა ინგლისელთა შეტევები.

2007-08 წლების სეზონის დაწყებამდე "მილანმა" ევროპის სუპერთასი მოიპოვა. იტალიურმა კლუბმა ესპანურ "სევილიას" სძლია და მეხუთედ დაეუფლა ტიტულს, რომელიც ამ თასისთვის სარეკორდო იყო. მატჩი გარდაცვლილი ახალგაზრდა ესპანელი ფეხბურთელის, ანტონიო ხოსე პუერტა პერესის ხსოვნას მიეძღვნა.

2007 წლის დეკემბერში გამართული საკლუბო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში "მილანმა" არგენტინული "ბოკა ხუნიორსი" 4:2 დაამარცხა. კახა ამ მატჩში შეუცვლელად თამაშობდა და გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ჯამში კი "მილანმა" უეფას თასზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. კახამ კი ყველა ტურნირზე 32 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

2008-09 წლების სეზონში ქართველმა მცველმა კვლავ ტრავმა მიიღო. 2009 წლის დასაწყისში მან სამედიცინო შემოწმება გაიარა და დადგინდა, რომ ქირურგიული ჩარევა არ სჭირდებოდა, მაგრამ თებერვლის ბოლოსკენ ტრავმა გაუღიზიანდა და 3 მარტს მაინც ჩაუტარდა მარცხენა მუხლზე ოპერაცია. იმწამსვე გახდა ყველასთვის გასაგები, რომ კახი სეზონის ბოლომდე ვერ შეძლებდა, მოედანს დაბრუნებოდა. ამის გათვალისწინებით, კალაძემ სერია ა-ს გათამაშება-ში 11 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 3 გოლი გაიტანა.

2009-10 წლების სეზონის დასაწყისში კლუ-ბის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ახალი გუნ-დი შეექმნა, რადგან "როსონერი" იმ ეტაპზე ევ-როპულ კლუბებს შორის ყველაზე ასაკოვანი ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული. "მილანი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა: კა-კა "რეალში" გადავიდა, ფორვარდი ანდრეი შევჩენკო კიევის "დინამოში" დაბრუნდა, "მილანის" ლეგენდამ პაოლო მალდინიმ კი კარიერა დაას-რულა. პოსტი დატოვა კარლო ანჩელოტიმაც. ანჩელოტი ბრაზილიელმა ლეონარდომ ჩაანაც-ვლა, რომელიც ქართველ მცველს ძირითადში საჭიროდ არ მიიჩნია. აქედან გამომდინარე კახიმ მთელი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 6 შეხ-ვედრაში გავიდა მოედანზე.

იტალიური კარიერის დიდი ნაწილი, რომელიც კალამ "სან სიროზე" გაატარა ანჩელოტის დიდი დამსახურებაცაა. კალაძე სწორედ ანჩელოტიმ შეიძინა და მასთან ერთად მიაღწია იმ დიდებულ გამარჯვებებს. კარლომ კლუბი და საერთოდ იტალიური ფეხბურთი დატოვა, კახიმ კი მის გარეშე განაგრძო მოღვაწეობა, ამჯერად კი სხვა კლუბში.

2010 წლის ზაფხულის სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს "მილანში" 10-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ კალაძემ კლუბი დატოვა და 2წლიანი კონტრაქტი გააფორმა "ჯენოასთან", რომელსაც იმ პირობით დათანხმდა, რომ სათამაშო პრაქტიკა ექნებოდა.

"ჯენოას" მთავარი მიზანი 2010-11 წლების სეზონის ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობის უფ-ლების მოპოვება იყო. ახალ კლუბზე კალაძე ინ-ტერვიუებში ამბობდა, რომ ეს მისთვის ახალი კლუბია და მას საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს. გაკეთებული ოპერაციის შემდეგ ფორმას

დაუბრუნდა და შეუძლია, ბოლომდე დაიხარჯოს თამაშებში. მისივე თქმით, კლუბს საკმაოდ სერიოზული ამბიციები ჰქონდა, მათ სურდათ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება.

ფეხბურთელი ყოველთვის გამოხატავდა მადლიერებას ყოფილი კლუბის მიმართ და ყველა მის ტიტულსა თუ დამსახურებას სწორედ მას უკავშირებდა. კახიმ იტალიაში მოღვაწეობის განმავლობაში 284 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

სამწუხაროდ, "ჯენოამ" დასახული ამოცანა ბოლომდე ვერ მიიყვანა. 2010-11 წლების სეზონში კლუბმა მე-10 ადგილი დაიკავა. მალევე მწვრთნელიც შეიცვალა, ჯან პიერო გასპერინის ნაცვლად კლუბში ლუჯი დი კანიო მივიდა. კალაძემ მთელ სეზონში 26 მატჩში მიიღო მონაწილეთბა და 1 გოლი გაიტანა.

2011-12 წლების სეზონი კი კლუბისთვის რულად წარუმატებელი აღმოჩნდა."ჯენოა" ძლივს გადაურჩა სერია ბ-ში დაქვეითებას და ჩემპიონატი მე-17 ადგილით დაასრულა.
საბოლოოდ კლუბის წარუმატებლობაში

საბოლოოდ კლუბის ნარუმატებლობამი საკუთარი თავი დაიდანაშაულა პრეზიდენტმა. ქართველი მცველი კი მოედანზე 27 მატჩში გავიდა. ძველმა დაზიანებამ თავი შეახსენა მას და 2012 წლის 12 მაისს ვეტერანმა ქართველმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა საფეხბურთო კარიერის დასრულება.

უფრო წარმატებული კარიერის მოწყობაში ხელი მრავალრიცხოვანმა ტრავმებმა შეუშალა. სწორედ ამიტომ 30 წლის ასაკში გადაწყვიტა კარიერის დასრულება. მარცხენა მუხლზე გადატანილი მძიმე ოპერაცია, ალბათ, ყველაზე
ხშირად ახსენებდა ფეხბურთელს თავს. "მილანში" ბოლო სამი წელი და "ჯენოაში" გატარებული 2 სეზონი კალაძე ინექციებით თამაშობდა.

იტალიაში გატარებული კარიერის უკანასკნელი 4 სეზონი მცველისთვის, პრაქტიკულად, უშედეგო იყო. ჯერ კიდევ ანჩელოტის წასვლამდე დაკარგა ძირითადის ადგილი, ლეონარდოს მოსვლის შემდეგ კი მას თითქმის აღარ უწევდა მოედანზე გასვლა. საბოლოოდ მისი ადგილი ლეონარდოს თანამებამულე ტიაგო სილვამ დაიკავა, რომელიც "ფლუმინენსედან" გადავიდა "მილანში". ამიტომაც არავის გაუკვირდა, ქართველ ფეხბურთელს "მილანის" ხელმძღვანელობამ ახალი კონტრაქტი რომ არ შესთავაზა. "ჯენოას" შემადგენლობაში გატარებული ორი სეზონი კი ქართველისთვის სახარბიელო ვერ აღმოჩნდა.

მიუხედავად კარიერის ასეთი დრამატული დასასრულისა, კახი ერთადერთი ქართველია, რომელსაც საკლუბო დონეზე ყველა ტიტული აქვს მოპოვებული და ამით ყველაფერია ნათქვამი...

### ᲐᲣᲢᲘᲜᲘ ᲛᲔᲣᲦᲚᲔᲡ ᲓᲐᲨᲝᲠᲓᲐ

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადი მერ პუტინმა და ლუდმილა პუტინამ განაცხადეს, რომ განქორწინდნენ. ჟურნალისტის კითხვაზე, არის თუ არა ეს განქორწინება, ლუდმილა პუტინამ უპასუხა: "დიახ. შეიძლება ითქვას, ეს ცივილიზებული განქორწინებაა"

რუსეთის პრეზიდენტის განცხადებით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილება მან და ლუდმილა პუტინამ ერთად მიიღეს.

პუტინმა განქორწინება იმით ახსნა, რომ ყველა არ არის მზად საჯაროობის ისეთი მაღალი ხარისხისთვის, როგორსაც გულისხმობს პოლიტიკოსის მეუღლის სტატუსი.

"მთელი ჩემი საქმიანობა აბსოლუტურ საჯაროობასთანაა დაკავშირებული. ვიღაცას ეს მოსწონს, ვიღა-ცას – არა, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც ამას საერთოდ ვერ ეგუებიან", — განაცხადა პუტინმა.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ განქორწინების შემდეგ ის და ლუდმილა პუტინა მეგობრებად დარჩებიან.

"ჩვენ ყველას ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს და მადლობელი ვარ, რომ ის მე და ბავშვებს დღემდე მხარს გვიჭერს. ის ზრუნავს ბავშვებზე და ბავშვები ამას ყოველთვის გრძნობენ. ჩვენი ქორწინება დასრულდა იმიტომ, რომ თითქმის ვერასდროს ვხედავთ ერთმანეთს. ვლადიმერ ვლადიმერის ძე მთლიანად ჩართულია საქმეში. ჩვენი შვილები გაიზარდნენ და თავისი ცხოვრებით ცხოვრობენ. ისე მოხდა, რომ ჩვენ, ყველა ჩვენი საკუთარი ცხოვრებით ვცხოვრობთ", – განაცხადა ლუდმილა პუტინამ.

განქორწინება ჯერ არ არის დოკუმენტურად გაფორმებული. რუსეთის პრეზიდენტის ქორწინება 30 წელი გაგრძელდა. მათ ორი ქალიშვილი ჰყავთ -

მარიამი და ეკატერინე. პუტინი შვილებზე ძალიან ცოტას საუბრობს: "ისინი სწავლობენ და მუშაობენ რუსეთში". მასმედიის მტკიცებით, ორივე გაუთხოვარია.

პრეზიდენტის ქორწინება ბოლო წლების განმავლობაში ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ვლადიმერ პუტინი, მეუღლესთან ერთად, სახალხოდ იშვიათად ჩნდებოდა. ბოლოს ეს მოხდა ინაუგურაციის დროს, გასული წლის მაისში. ინტერვიუებში რუსეთის პრეზიდენტი იშვიათად საუბრობდა პირად ცხოვრებაზე.

ჯერ კიდევ 2010 წელს "ჯი-ეიჩ-გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ ვლადიმერ პუტინმა ალინა კაბაევაზე ვალდაის ივერიის ღვთისმშობლის სა-ხელობის მამათა მონასტერში ჯვარი დაიწერა.

ლუდმილა პუტინას უწოდეს ყველაზე მოკრძალებული პირველი ლედი რუსეთის ისტორიაში. ის განათლებით ფილოლოგია. გატაცებულია თეატრით, უყვარს რომანსები, ჩოგბურთი და სათხილამურო სპორტი. ლუდმილა პუტინა რამდენიმე საერთაშორისო



პრემიის ლაურეატია. როგორც "ინტერფაქსი" იტყობინება, საპრეზიდენტო წყვილის განცხადება განქორწინების თაობაზე, მოსკოვის არც ერთ სარეგისტრაციო სამ-სახურში არ შესულა.

პოლიტოლოგები უკვე აკეთებენ პროგნოზს, როგორი გავლენა ექნება ამ განქორწინებას პრეზიდენტის იმიჯზე. ის უკვე სასურველ სასიძოდ გამო-

"შესაძლოა, ეს დრამის ბოლო აქტი არ იყოს. ხოლო ის, რომ ეს დრამაა, უდავოა", – აცხადებს "ბიზნეს ეფემთან" ინტერვიუში, ჟურნალ "რუს-სკი პიონერის" მთავარი რედაქტორი ანდერეი კოლესნიკოვი. "ჩვენ დავინახეთ პირველი აქტი, კითხვა იმაშია, იქ-ნება თუ არა მეორე. არის თუ არა ქალი, რისთვისაც ეს გაკეთდა?" – კითხულობს სოციოლოგი ოლგა კრიშტანოვსკაია.

"რასაკვირველია, ეს დიდი სი-ახლეა და მის ფონზე ყველა დანარჩენი ქრება, კიდევ დიდხანს ასე გაგრძელდება. ეს ძალიან რთული გადაწყვეტილებაა და ყველას არ შეუძლია ამის გაკეთება. შეიძლება, გაგრძელება მოჰ-ყვეს, შეიძლება არა. მაინც ეს კერძო ცხოვრებაა, თუნდაც პრეზიდენტის და, რასაკვირველია, არავის უყვარს, როცა ვილაც მის პირად ცხოვრებას აფა-სებს", — მიიჩნევს კოლესნიკოვი.

კრიშტანოვსკაია აცხადებს: "მთავარი საკითხი, ინტრიგა განშორე-ბაში არ არის. აი რაშია საქმე: ხელახლა დაქორწინდება თუ არა პუტინი?"

"რუსეთი ღრმად კონსერვატიულ ქვეყნად რჩება, სადაც მართლმადიდებელი ეკლესიის პოპულარობა იზრდება; ხოლო პუტინის პოპულარობას, დიდ წილად, საშუალო ასაკის ქალები უზრუნველყოფენ", წერს ერთერთი ამერიკული გამოცემა. ის თვლის, რომ ელექტორატის ამ ნაწილს მშვიდი რეაქცია არ ექნება თუ პრეზიდენტს ახალგაზრდა მეუღლე გამოუჩნდება.

งสิงมีคองสึก, วัศกุจกอกธัฐกม วัศกุมმდივანი დმიტრი პესკოვი ხაზს უსვამს, რომ პუტინს სხვა ქალი არ ჰყავს. "შე-მიძლია დაგარწმუნოთ, რომ ეს ყველაფერი ჭორების კატეგორიას მიეკუთ-

"პუტინის სამუშაო გრაფიკს რომ შეხედოთ, მიხვდებით, რომ მისი ცხოვ-რება რაღაც ოჯახურ ურთიერთობებთან არანაირად არის დაკავშირებული, ის დაკავშირებულია მხოლოდ იმ პასუხისმგებლობასთან, რასაც ის, როგორც სახელმწიფოს მეთაური, ატარებს", – აცხადებს პესკოვი.

"როგორც არ უნდა იყოს, რუსეთის ლიდერმა საკუთარ თავზე უზარმაზარი რისკი აიღო", თვლის გერმანელი ჟურნალისტი ალექსანდრ რარი, რომელმაც ვლადიმერ პუტინზე რამდენიმე ბიოგრაფიული წიგნი დაწერა. "ვიცით, რომ რუსული ეკლესია ხმას არ ამოიღებს, კომენტარს არ გააკეთებს. მაგრამ ადამიანები ამას დიდი გაგებით არ შეხვდებიან. სახელმწიფოს მეთაურის განშორება ყოველთვის სახიფათოა, განსაკუთრებით რუსეთში, სადაც პრეზიდენტის ფიგურა, ახალი რუსული სახელმწიფოებრიობის სიმბოლოდ განიხილება", – აცხა-

პოლიტოლოგ ალექსეი მუხინის აზრით, დაშორებისთვის ყველაზე ხელსაყრელი დრო იქნა შერჩეული: "სიახ-მოიწვევს და პრეზიდენტს საკუთარ რეიტინგზე ნერვიულობა არ მოუწევს, რადგან უახლოეს მომავალში მისთვის მნიშვნელოვანი არჩევნები არ იქნება"

რუსი დამკვირვებლები პუტინის გადაწყვეტილების "ადამიანურობაზე" საუბრობენ და აცხადებენ, რომ "ახლა პუტინი რუსეთზეა დაქორწინებული"

